

ბეჭდვითი ქართული



2633
1951

ბოროტული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

LE DESTIN DE LA GÉORGIE

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16^e). Tél.: Passy 75-35.

№ 10

ს ე მ ტ მ მ ბ ე რ ი — 1951 — SEPTEMBRE

№ 10

*Djoadze's
Library*

ჭ ვ ა ნ ტ ა ნ გ ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

განგვეწმორა ჩვენი ძვირფასი მეგობარი და თანამშრომელი ეჭიმი ვახტანგ ლამბაშიძე. თუმცა იგი ღრმად მოხუცებული იყო და საკმაოდ ვალ-მოხდილი თვისი ქვეყნისა, თვისი საზოგადოებისა და თვის მეგობართა წინაშე, მაგრამ მისმა განშორებამ არ შეიძლება გული ტკივილით არ შეუბუყრას ყველას, ვინც მისი ცხოვრება იცოდა და მის პიროვნებასთან დაახლოებული იყო შეგობრობით ან ნაცნობობითაც კი.

ვახტანგი შვილი იყო იმ სახლისა, რომელიც აშენებული იყო ძველ, მტკიცე ქართულ საფუძველზედ. ამ სახლის შვილები ზემო-იმერეთში ჯიშითაც შეენიერები იყვნენ, ვაჟ-კაცობითაც განთქმულნი და სულით ნამდვილნი ქართველნი და ამჟამად დამცველნი ქართველობისა და მოღვაწეობით მსხვერპლის გამღებნი მისთვის. თვით ვახტანგი შვილი იყო მღვდლისა დავითისა, რომელსაც ზესტაფონში და ერთობ ზემო-იმერეთში „დიდ დეკანოზს“ ეძახდნენ. და რაც დეკანოზ დავით ლამბაშიძეს თვისი ცხოვრების განმავლობაში ქართული საქმისათვის სამსახური გაუწევია სიტყვით, საქმით იოჟ ჯალმით, ეს მისი დროისათვის მართლაც დიდი ღვაწლი იყო, — მარტო მის მიერ გამოცემული მდიდარი შინა-არსის გაზეთი „მწყემსი“, რომელიც დაუღალავად და ხანგრძლივად ემსახურებოდა არა მარტო საქართველოს სამღვდლოებსა და ეკლესიას, არამედ მთელ ქართველ ერს, — რად ღირს! და ამ კაცმა, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა სახელი „დიდი დეკანოზისა“, ჩაუტერ-

გის თვისი სული თვის პირში შვილს ვახტანგს, რომელსაც ვარდაცვა მამისაგან ქართული სულის გარდა მისი ენერჯიაც.

ვახტანგმა მოსკოვის უნივერსიტეტში დაასრულა საეჭიმი ფაკულტეტი და შემდეგ პარიზში განაგრძო სამკურნალო მეცნიერების სწავლა. პარიზიდან ჩამოიყვანა მან თვისი მცდელობა განსვენებულ ქნი ვანდა, რომელმაც ისე შეითვისა და შეიყვარა საქართველო, ქართველობა და ქართული ენა, რომ ბევრი ქართველი ქალისათვისაც სამაგალითო იყო იგი ამ მხრით. მან შეუქმნა ვახტანგს ქართული სახლი, რომელსაც უღრმესი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული მთელი ქართული საზოგადოების წინაშე, რომელიც მეგობრობდა ურჩეულეს წევრებს ქართული საზოგადოებისა: არ ყოფილა ქართული საქმე, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოსთ ვახტანგს და მის მცდელებს, და ამ მათ ღვაწლს სიყვარულით და მსდლობით აღუნახა ურჩებდა მათ იროვნული საქმის მსახური ქართველობა.

ვახტანგი ერთი რაითავე განიჩიოდა კიდევ ბევრ სხვა ქართველ პატრიოტთაგან: მისთვის ქართული ენა მართლაც ერთად-ერთი სააზროვნო და სასაუბრო ენა იყო. უცხო ენები მისთვის უცხოელთათვის იყო, არა ქართველთათვის, ქართულის მკოდნეთათვის. ხშირად გვინახავს ეს მსალაი, შეენიერი ქერა ვაჟკაცი მართლაც სრულიად თავისუფლად და წყლიანად მეტყველი შეენიერი ქართულით უმაღლეს საგნებზე-



დაც, მაშინ როდესაც ჩვენი საუკეთესო პატრიოტი მწერლებიც კი, რაც უფრო მაღალ ფარდებში აიწიოდნენ საუბრის ან კამათის დროს, მით უფრო ამცირებდნენ ქართულს და ბოლოს სულ არუსულდებოდნენ ხოლმე. განსვენებულ ვახტანგს შეეძლო ამის არა - ქმნა, და ისე ბუნებრივად და თავისუფლად, თავისათვის ძალა-დაუტანებლად, თითქოს მას **მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციული საქართველოსი არც განეცადოს და შორეული წარსულიდან მოგვლინებოდეს, ახალ - ქართულად მეტყველი!** ამიტომ მას მოწიწებით უსმენდა ყველა, — არა საყვედურით მისი თითქოს „გადაჭარბებული პატრიოტიზმისათვის“. **ეს ძლიერი ხატი ვახტანგისა, საქართველოში, დღესაც ცოცხლად დგას საუკეთესო მოგონებად ჩვენი ახლა წარსულისა.**

ცნობილი იყო მთელს საქართველოში ვახტანგისა და მისი ენერგიული მამის მიერ აშენებული სანატორიუმის „პატარა - ცემისა“. ბავშვების სეზონის გათავების შემდეგ აქ იკრიბებოდა „ხაფხულში“ და შემოდგომის დასაწყისში საქართველოს ყველა კუთხითგან საუკეთესო ქართული საზოგადოება ყოველი წრისა და პოლიტიკური მიმართულებისა. აქ ნახავდით აკაკი წერეთელს, ძველს მეგობარს დეკანოზისა და მისი სახლისა, კიტა აბაშიძეს, ივ. ჯავახიშვილს, მათი მეგობრებით ორბელიანთა სახლიდან, და სხვათ მრავალთ, და ისეთი მრავალ - ფეროვან კრებულს, თითქოს იქ საქართველოს რაიმე ერთიგნული ყრილობა ყოფილიყოს! ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი იყო საუბარი და დროს გატარება მათი. და ნახიარებნი ურთიერთის აზრთა, განზრახვათა, მოქმედების გეგმათა, და გამაგრებულნი ვახტანგის ექიმობით, სა-

ნატორიუმის მოვლით და კარგი ჰაერით, ივინი სულიერადაც კმაყოფილნი უბრუნდებოდნენ ხოლმე მათ საქმეებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის შემდეგ ვახტანგს და მისი სახლსაც არგუნა ბედმა მწარე ცხოვრება ემიგრანტული. პარიზში ვახტანგს ლეთის - რისხვაც ბევრი ეწვია საყვარელი შვილის, ერთად - ერთი ვაჟის, და მეუღლის დაკარგვით. მაგრამ ამან ვერ გასტეხა მისი მავარი სული. იგი აქაც მხნედ ემსახურებოდა თავის თანამემამულეთ ვითარცა ექიმი, რომელიც მუდამ თვალ - ყურს ადევნებდა თვისი მეცნიერების წინსვლას და რომელსაც ისე სწამდა პიპოკრატეს ფიცი, როგორც რჩეულთ მკურნალობის ხელის კაცთაგან, და აგრეთვე ხშირად ვითარცა თავმჯდომარე კართველთა კოლონიისა და გამეგ მის საქმეთა.

ასეთი კაცი იყო განსვენებული ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე, რომელიც მხოლოდ ჟამმა და ხანმა მოსტეხა, ღრმად მოხუცებული. ვინც მასთან დაახლოვებული იყო, არ შეიძლება მისგან მას არ ახსოვდეს სიკეთე, ხოლო ვისაც ოდესმე რაიმე საყვედური უთქვამს მისთვის, მანაც დაიდუმოს, რათანაც ვის არ უთქვამს. თვისთვისვე საყვედური, ან ვის არ სმენია იგი ვისგანმე თვის მიმართ! თვით ჯვარცმულმა ქრისტემ ჰკადრა თვის მამას, ღმერთს საყვედური! ხოლო სიკვდილის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოვიღოკოთ, გულით მხოლოდ სიკეთეს ვგრძნობდეთ და თვალითაც მას ცხედავდეთ, და ერთმანედ ვთქვათ: კურთხეულ იყოს ხსენება შენი ჩვენი შორის, ჩვენო დაუფიწყარო ვახტანგ, სამაგალითო ქართველო!

„ბედი ქართლისა“

ასსირიოლოგიის კონგრესის პარიზში

2 - 7 ივლისამდე მიმდინარე წლისა პარიზში იყო მეორე საერთაშორისო შეხვედრა ასსირიოლოგებისა.

კონგრესს დაესწრო მრავალი სპეციალისტი ასსირიოლოგი: საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყანათა. აგრეთვე არქეოლოგები, რომელთა საგანი უძველეს კულტურათა კვლევაა. კონგრესსზე იყო მოწვეული ჩვენი თანამემამულეც პროფესორი **მიხეილ წერეთელი.**

შეხვედრის პროგრამმა მდიდარი და შინაარსიანი იყო. სპეციალისტთა მიერ წაკითხულ იქ-

მნა მოხსენებები: არქეოლოგ **შეფერის** (საფრ.) მიერ — გაჩენა და გაფრცვლება ბრინჯაოსი უძველეს ახლო აღმოსავლეთში; **გ. დოსსენისა** (ბელგია) — სუმერული და აკადური (სემიურ = ბაბილონური) ტერმინოლოგია ბრინჯაოსათვის; **მ. ფალკენშტაინისა** (გერმანია) — სუმერული მითოლოგია; **ე. დორმისა** (საფრ.) — ქრონოლოგია ბაბილონის პირველი დინასტიისა; **კლიმასი** და **მატუშისა** (ჩეხოსლოვაკია) — ეგრედ - წოდებული კაპპადოკიის ტაბლეტები.

ყოველი მოხსენების შემდეგ იმართებოდა ვრცელი კამათი, რომლის დროს წამოიჭრებო-



და ხოლომე ახალი საკითხები; ხოლო ზოგიერთის გადაწყვეტა ადვილი და დამსკამყოფილებელი არ იყო.

მიხეილ წერეთლის აზრით, ამ საკითხთა გამოკვლევისა და გადაწყვეტისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კავკასიის არქეოლოგიას და განსაკუთრებით ქართული ენა უნდა იყოს ღრმად შესწავლილი ევროპიელ მეცნიერთა მიერ, მის შესადარებლად წინა = აზიის უძველეს კულტურულ ერთა ენებთან.

ჩვენი მეცნიერი ფიქრობს, რომ ქართული ენას არა აქვს გენეტიური ნათესავობა არც ეგრედ - წოდებულ ხეთურ ენებთან, არც ურარტულთან, არც ელამურთან და არც სხვებთან უძველესი წინა - აზიისა. ასეთი ნათესავობა, მისი აზრით, არსებობს მხოლოდ ქართულსა და სუმერულს შორის და ამ ორი ენის შედარებით არის შესაძლებელი გადაწყვეტა იმ პირობებებისა, რომლებზედაც, სხვათა შორის, მსჯელობდა კონგრესისი: მაგალითად, სუმერული ტერმინი სპილენძისათვის, სხვა და სხვა სუმერული ტერმინები: ბრინჯაოსათვის და სხვა. ამ ტერმინებთან კი დაკავშირებულია საკითხი სუმერიის ქვეყანაში სპილენძის და ბრინჯაოს გაჩენისა და მათი უცხოეთიდან მოტანისა, რათგანაც თვით სუმერეთში ეს ლითონები არ მოიპოვებოდა.

მიხეილ წერეთლის წარმოდგენით, კავკასიაში

და მისი სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ბინადრობდენ სხვა და სხვა ხალხები მონათესავე სისხლისა, მონათესავე ენებზედ მეტყველი. სუმერები ერთი შტო იყო ამ ხალხთა ჯგუფისა, რომელიც სამხრეთისაკენ ვადასახლდა და მრავალათასეულ წელთა წინ ქრისტეს დაბადებამდე სამხრეთ მესოპოტამიაში დაბინავდა და შექმნათვისი კულტურა. ამ კულტურის ძირითადი ელემენტები და ლითონთა დამუშავებაც მათ ალბათ უძველესი სამშობლოდან ჰქონდათ ჩამოტანილი. ამით აიხსნება ლითონთა სუმერული ტერმინოლოგიის კავშირი ქართულ სიტყვებთან და ქართველ ტომთა სახელებთან.

ყოველივე ამაზე მიხეილ წერეთელმა მიუთითა კონგრესსზე დამსწრეთ და ერთ მათგანთან შეთანხმებით გამოვა მისი დასაბუთებული შრომა შემოხსენებულ საკითხთა შესახებ ერთ - ერთ სპეციალურ ორგანოში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე არა აღმოჩენილა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, უარყოფელი მიხ. წერეთლის თეორიისა: 1. რომ სუმერულსა და ქართულს შორის არსებობს გენეტიური ნათესავობა; 2. და არც მაჩვენებელი იმისა, რომ ქართულსა და ხეთურ-ურარტულ ელამურ და სხვ. ენათა შორის არსებობდეს რაიმე ნათესავობითი კავშირი.

კ. სალია

ახალი ქართული სამეცნიერო მუშაობის

საბჭოთა მწერლობის კავშირის ორგანოში „Литературная Газета“, № 34, მოთავსებულია წერილი: „ქართული ლიტერატურული ენის სიმშინდისა და სრულყოფისათვის“, რომელშიც მოყვანილია ანგარიში ქართველ მწერალთა კავშირის საზოგადო კრებისა.

საქართველოს კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანს, კ. ჩარკვიანს, წაუკითხავს მოხსენება შემოხსენებულ ყრილობაზე, გაუკრიტიკებია თანამედროვე ქართული სამწერლობო ენა და განსაკუთრებით შეხებია კონსტ. გამსახურდიას შემოქმედებას. მისი აზრით „გამსახურდია დაჟინებით სცდილობს ააღაპაროს საბჭოთა მოქალაქენი ადრე - საშუალო - საუკუნეთა ენით, რომელშიც ის ურევს დასავლეთ ევროპიულ ბარბაროზებს; გამსახურდიასათვის დამახასიათებელია მისწრაფება ენის არქაიზაციისა და სხვა, რაც ვაუტყბარია ფართო მასშტაბისათვის“ =ო.

ჩარკვიანი შეეხო აგრეთვე ჩვენი კლასიკების მემკვიდრეობას და განაცხადა, რომ დღემდის გრძელდება ვაჟა ფშაველას შემოქმედებით არაკრიტიკული, გადაჭარბებული აღტაცება. იგი ამბობს, რომ ვაჟა ფშაველამ ვერ შესძლო მიწოდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ნაქადაგები სოციალური იდეებისა. მაშინ როდესაც ილია ჭავჭავაძე სცდილობდა შექმნა საერთო ეროვნული სამწერლობო ენა, ვაჟა ფშაველამ იგი გაავსო ფშავური გამოთქმებით, რაც ხელს არ უწყობდა დადგენას და განვითარებას საერთო ქართული ლიტერატურული ენისაო.

პარტიის მდივანი და მასთან ერთად მწერალთა კავშირი მოითხოვს, მიღებულ იქმნას ერთი სამწერლობო და ყველასათვის გასაგები ლიტერატურული ენა.

ჩვენ ვსთხოვთ გამოეთქვა თავისი აზრი ამ შეტად მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ ჩვენ

თანამშრომელს ცნობილ ენათმეცნიერს მიხ. წერეთელს, რომელმაც შემდეგი პასუხი მოგვცა:

1. „კ. გამსახურდიას, ამ ფრიად ნიჭიერი მწერლის შემოქმედებას ჩვენ არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ საყვედური, თითქოს იგი „სკდილობს დაყინებით აალაპარაკოს საბჭოთა მოქალაქენი საშუალო საუკუნეთა ენით“ და სხვ., უცნაურია. გამსახურდია ისტორიულ რომანებსაც სწერს და ნიჭიერი მწერლის მოვალეობაა ღრმად ცოდნა წარსულის ცხოვრებისა და ენისა, რომ თვისი ხელოვნებით მან მთელი ეპოქა წარსულისა განაცხოველოს, მკითხველს ნათლად და ცოცხლად აჩვენოს სურათები წარსული ცხოვრებისა, აუღო - თქვენა შეაძლებინოს წარსულის ატმოსფეროში. ამ მიზნით მან „არქაიზმებიც“ უნდა იხმაროს, ძველი ენით ამიტყველოს თვისი გმირები, აღნიშნოს ზნე-ჩვეულება წარსული ეპოქისა და მოგვცეს სურათი ეპოქის კულტურისა, რისთვისაც მას სჭირდება ძველი ტერმინოლოგია, ძველი სიტყვები და სხვ. — რაოდენადაც უფრო ძლიერია შემოქმედებითი ნიჭი ისტორიული რომანების მწერალთა და რაოდენადაც უფრო ღრმად მისი ცოდნა ისტორიისა, ძველი ენისა და კულტურისა, იმოდენად უფრო დიდია ღირებულება მის ქმნილებათა, იმოდენად უფრო წარმატებულ და ცოდნის შემძენიც არიან იგინი განათლებული, კულტურული და სიტყვის ხელოვნების მოყვარული მკითხველისათვის. — ხოლო კულტურული ერის მწერლობა ვერ დაკმაყოფილებს მართო აწმყო ცხოვრების აღწერით „ხალხისა“, — მასათა, მშრომელთა და სხვ. — თვით აწმყოც წარსულისაგან არის წარმოშობილი და იგი იმოდენად არის მომავლის განვითარების წყარო, რაოდენადაც ყოველი ღირებულების მქონე კულტურული ელემენტი წარსულისა მასში ცოცხალია. ამიტომ „მასებშიაც“ მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომელსაც წარსული აინტერესებს და მისი ცოდნა მის კულტურისნობას მაღლა სწევს, მის გონებას და აზროვნებას, ჰორიზონტს მისი ხედვისა აფართოებს, ხელს უწყობს მისი მსოფლიოს - ხადვის შექმნას. — ამ მხრით კ. გამსახურდიას თვისი შემოქმედებისათვის საყვედური კი არა, არამედ დიდი მადლობა ეთქმის, და ეუბნებან კიდევ მართლ — საჩინოდ ყველა ფენები ქართული საზოგადოებისა, — და „მასებიც“, ვისი სულიც ნამდვილ მასსაზედ მაღლა დადგომისაკენ მიისწრაფის. ხოლო მწერლის

იძულება, განსაკუთრებით ისტორიული რომანთა მწერლისა, „ყველასათვის“ გასაგებ ენაზედ სწეროს, ნიშნავს მთელი სიტყვის ხელოვნების ჩამოქვეითებას, არარაობად ქმნას, და არ არსებობს ისეთი დიდი ქმნილება მსოფლიო მწერლობაში, რომ იგი ყველასათვის, ნამდვილ „ფართო მასსათათვის“ გასაგები იყოს. ეს შეუძლებელიც არის და არავისთვის საჭირო... და კ. გამსახურდიასაც არ გაუჭირდებოდა თავის დაცვა მის უმართებულოდ განმკიცხვლთა წინააღმდეგომ.

2. აგრეთვე უსაფუძვლოა საყვედური, მიმართული ქართული საზოგადოებისადმი „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით გადაჭარბებული და არაკრიტიკული აღტაცების“ გამო: ა) ვაჟა-ფშაველამ ვერ შესძლო მიწვდომა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ნაქადაგებ სოციალურ განზოგადებათა; ბ) მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე სკდილობდა შეექმნა საერთო ქართული სამწერლობო ენა, ვაჟა-ფშაველამ იგი გაავსო ფშავური გამოთქმებით, რაც ხელს არ უწყობდა დადგენას და განვითარებას საერთო ქართული ლიტერატურული ენისათვის და სხვა. — ვინც ვაჟას პოეზიას იცნობს, და კარგად იცნობს, — ის იქ დაინახავს იმოდენ ღრმად აზრებს, იმოდენ სიბრძნეს, თუნდა „სოციალურ განზოგადოებათაც“, რაოდენსაც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიაში, — ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებს. მ აგრამ ვაჟას წესი და ხელოვნება თქმისა სულ სხვა იყო, ვიდრე ილიასი და აკაკისი, — წმიდა პოეტური, აზრი თვით ამბავთაგან გამომდინარე, არა პირდაპირ თქმული, სრულიად უტყენდენციოდ. ამიტომ ვაჟას დაფასება ამ მხრით უფრო ღრმად ხედვის საქმეს, ვიდრე დაფასება ილიასი და აკაკისი. ვაჟას თემს არც იყო „სოციალური განზოგადოებანი“ და სხვ. საზოგადოებრივად მას აქვს შეუდარებლად აღწერილი ცხოვრება მთისა, ნივთიერი და სულიერი, და ისეთი ხელოვნებით სიტყვისა, როგორც არც ერთ პოეტს ცხოვრება საქართველოს არც ერთი კუთხისა, და ისეთი სინამდვილით, როგორც ძვირად რომელიმე მეცნიერ ხალხთა = კულტურის მკვლევარს. ვაჟა ორიგინალური პოეტი იყო, სულ სხვა გვარი, ვიდრე ილია და აკაკი, უფრო ღრმად ჩამწვდომი მსოფლიოს საიდუმლოებათა, ამიტომ უფრო ფილოსოფოსი, რაც თუ გინდ უცნაურად მოეჩვენოს ვისმეც ის აზრი. ხოლო თვის ამბავთ, სადაც მისნი განცდანი და ნააზრი გამოთქმულნი არიან, იგი მთის ცხოვრებითგან იღებ-



და, და თვისი ენაც მან მთის ძლიერი იცნის გამოთქმებით შეამკო. ეს მას სჭირდებოდა თვისი შეუდარებელი ხელოვნებისათვის, მისთვის განსაკუთრებული ფერის მიცემისათვის. — ვაჟა „ფშავერ დიალექტზედ“ კი არ სწერდა, როგორც შეიძლება მის მოსაყვედურეთ ჰგონია, არამედ იმავე ახალ „საერთო“ ქართულ სამწერლობო ენაზედ, რომელზედაც სწერდენ ილია და აკაკი და რომელიც მათზედ წინ იყო უკვე „დადგენილი“. ხოლო „ფშავერნი გამოთქმანი“ და სიტყვანი მას სწორედ უნდა ეხმარა თვისი ლექსის თავისებურებისათვის, თვისი პოეზიის განსაკუთრებული ფერისათვის. ვაჟას რომ ილიას და აკაკის ენით ეწერა თვისი პოემები და ლექსები, ვაჟა ვაჟა აღარ იქმნებოდა და ქართულ მწერლობას ვაჟას პოეზია არ დაამვენებდა, — მისი უშვენიერესი და უძვირფასესი მარგალიტი. — და, ბოლოს, რომელი დიდი პოეტი სწერს „დადგენილი“, „დაპროტოკოლებული“ ენით, ისე, რომ არც რომელიმე „კუთხის“ სიტყვებს და გამოთქმებს ხმარობდეს, არც თვის მიერ მობდენილად და გენიალურადაც შექმნილს! ასეთი პოეტთა კალამი პოეზიის მკლველი იქმნებოდა და ასეთნაირად მიმძლავრებული პოეზია ბოლო და დასასრული მისი.

ვაჟა ღრმა მოაზრე, ვაჟა შეუდარებელი ორიგინალობის მქონე პოეტი, შეუდარებელი ხელოვანი სიტყვისა, თვისი კუთხის ფერის მიმცემი თვისი პოეზიისათვის, — ამიტომ ვაჟა ძლიერი, განსხვავებული სხვა ქართველ პოეტთაგან, — წარიტაცებს ყოველ ქართველს, ვინც გრძნობს და ვისაც უყვარს პოეზია, და ვერაფერთარი განქიქება ვაჟასი ვერ აღმოფხვრის ჩვენი გულითგან და თავითგან გრძნობას მისი სიდიდისა. კიდე მეტს ვიტყვი: ვაჟა „უთარგმნელია“, ხოლო რომ შეიძლებოდეს მისი პოეზიის უცხო ენაზედ გარდათქმა მთელი მისი სიდიდით, ბევრი უცხო, რომლის ერის წილითგან გამოსულან უდიდესნი ხელოვანნი სიტყვისა, განკვირდება, რომ საქართველოს მთის მიწას ასეთი იციანტი ხელოვნებისა წარმოუშვია. —

ვაჟა დიდი ხანია რაც უკვე დაფასებულისა გრიგოლ რომაქიძის მიერ, — დიდი პოეტი დიდი ქართველი მოაზრისა და თვით დიდი ხელოვანის მიერ, — ხოლო ახალი გადაფასება მისი და საყვედურები, მისდამი მიმართული, ფუჭია, უმართებულო და უსასუძველო, და ამიტომ წარმავალი, ვერარაის მენები მის მქნილებათა, რომელნიც ყოველთვის აღიტაცებენ ქართველ კუ-

ლტურულ კაცს, ვიდრე იგი არსებობს და ქართულად მეტყველებს.

3. ბოლოს, უცნაურია „ერთი ყველასათვის გასაგები სამწერლობო ენის“ დადგენის და მიღების მოთხოვნა, თუმცა ეს შთაბეჭდილება შეიძლება მით იყოს გამოწვეული, რომ თვით მოთხოვნა არ არის ნათლად გამოთქმული: **ყველასათვის გასაგები ერთი სამწერლობო ენა** აროდეს არსებულია, არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. სამეტყველო საგანი მრავალია, მრავალ-ფერი, და იმოდენად უფრო, რაოდენადაც მალა დგას კულტურა ერისა. ყოველი მეცნიერების ენა სრულიად გასაგების განსაზღვრული მეცნიერების მსახურისათვის, ნაკლებად ამ მეცნიერების არა სპეციალისტთათვის, კიდე უფრო ნაკლებად გასაგები მეცნიერებასთან კავშირის არა-მქონე, ხოლო „საზოგადო განათლების“ მქონეთათვის, და სრულიად გაუგებარი გაუთათლებელთათვის. საეკლესიო ენის გაგება ერისათვის, რომელმაც არ იცის საეკლესიო მწერლობა, მხოლოდ განათლებული მღვდლის განმარტებათა შემდეგ არის შესაძლებელი. ავრთვევ არც ერთი ენა სხვა დარგისა, რომელთანაც უფრო ფართო საზოგადოებას აქვს კავშირი, არ არის გასაგები ყველასათვის, არამედ მათთვის, ვინც შესაფერი დონეზედ დგას კულტურისა, ვისაც აქვს განსაზღვრული რაოდენობა ცოდნისა და **უსწავლია** სამწერლობო ენა. უმარტივეს საგნებზედ მომთხობ „სამწერლობო“ ენასაც ვერ „გაიგებს“ განსაზღვრული კულტურის, „უსწავლის“ არა-მქონე ადამიანი და ეს იმიტომ, რომ თვით სამწერლობო ენა არის ნაყოფი კულტურისა, მეტყველების წესთა შემუშავებისა, **მოვლისა**, — „მწერალთა“ შემოქმედებისა. ამიტომ განსხვავდება სამწერლობო ენა, რაც თუ გინდ მარტივი და „ხალხურთან“ ახლო იყოს იგი, ნამდვილი ხალხურისაგან. მართალია, სამწერლობო ენა ხალხური იქნის პირველად რომელიმე დიალექტის მსახლითგან არის შექმნილი, შემდეგ იგი მდიდრდება სხვა და სხვა დიალექტთა მსახლების აღებითაც, მხარსი იგი ისე განსხვავდება ამ ხალხურ ენათაგან, როგორც მუსიკალური სიმფონია ხალხურ კილითა მსახლისაგან, რომელიც კომპოზიტორს თვისი ქმნილებისათვის გამოუყენებია. ამიტომ „ხალხური ენით“ წერს გაუგებრობა. ნამდვილად ხალხური ენით წერა იმოდენ დიალექტზედ წერას ნიშნავს, რაოდენიც ერს მოეპოვება, თუ სადმე დაიწყებენ წერას

რომელიმე დიალექტზედ, მალე დიალექტის
ენა სამწერლობოდ იქცევა და „ხალხურ“ დია-
ლექტს სცილდება, და სხვა დიალექტზედ მე-
ტყველთათვის იგი ისევე ძნელად ზდება გასა-
გები, როგორც თვით ის დიალექტი, რომლისა-
განაც იგი წარმოიშვა. — არც ცოცხალ, ყველა-
სათვის გასაგებ ენაზედ არაფერ სწერს, როგორც
რეტორთა გარდა არაფერ მტყველებს ისე, რო-
გორც სწერს. წერისა და მტყველების შორის
განსხვავებაა. წერა კულტურაც არის და შემო-
ქმედებაც, და დაწერილის გავრცელებაც **კულტურა**
უნდა. ამიტომ არის შეუძლებელი მოთხოვნა
ერთი „ყველასათვის გასაგები სამწერლობო
ენის“ შექმნისა. სასურველის მხოლოდ სწორი
გრამმატიკა მწერლისა, ნათლად მოთხრობა,
სტილის სიშვენიერე, მაგრამ ეს მწერლის ცო-
დნის და ნიჭის საქმეა, და ამითაც განიზომება
ლირსება მისი ენისა. ტყვილად არ ასწავლიან
მრავალ წელთა განმავლობაში ახალგაზრდათ
უწინარეს - ყოვლისა სამშობლო სამწერლობო
ენას, ძველსა და ახალს, რომ იგი მათთვის „გა-
საგები“ გახდეს, შეთვისებულ იქმნას, ხოლო
ნიჭი წერისა, საიტყვის ხელოვნებისა სკოლის მი-
ერ არ მოიცემის, არამედ ბუნებისაგან აქვს იგი
კაცს მიცემული.

მწერლობითი შემოქმედების ერთი აუცილე-
ბელ პირობათაგანი მწერალთა **მოცალეობაა**.
მწერლობა **ხელობაც** არის. გამონაკლისნი არიან
ის მწერალნი, რომელნიც ერთსა და იმავე დროს
წერენ და ყანასაც სთოხნიან, ან მჭედლობენ,
ხარაზობენ, ქარხანაში იღვწიან და სხვ.. — ჰანს
საქსები იშვიათად გვხვდებიან მსოფლიო მწე-
რლობის ისტორიაში. საზოგადოებრივი ცხოვ-
რების საჭიროება ამას უღმობელად მოითხოვს,
— ჰქმნის მწერალთა დასს, რომელსაც თვისი
მწერლობითი საქმე აქვს და მას სწირავს თვისს
დროს და ენეგრისს. და რათგანაც საზოგადოე-
ბას სჭირდება მრავალ საგანზედ წერით მტყ-
ველება, ჩნდება სამწერლობო ენა მართვა-გა-
მგეობისა, სამართლისა, სარწმუნოებისა, მეც-
ნიერებისა, ფილოსოფიისა, ენა საიტყვა - კაზმუ-
ლი მწერლობისა და სხვ., რომელთაც მოვლა
უნდა, კულტურა, გაუმჯობესება და გასმდიდრე-
ბა, ხოლო არა - მწერალთაგან სწავლა და შე-
თვისება, რომ ივინი მთელი ეროს სულიერ მო-
თხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალე-
ბად გახდენ. ამიტომ მწერლობის ხელობის და-
სი ყოველთვის იყო ყოველ კულტურულ სა-
ზოგადოებაში, და არის და იქმნება მარადის,

როგორც არ უნდა იყოს ადებულება საზოგა-
დოებისა, და მწერალთა ენის ძალით ჩამოქვეი-
თება „ხალხის ენის“ დონემდე, ე. ი. მისი „გა-
ჯულგარება“ შეუძლებელია, — ცდა ამაო და
უნაყოფო, მადებელი და სასაცილოც. —

„დადგენა“ ერთი სამწერლობო ენისა აგრე-
თვე გაუგებრობის გამომწვევი გამოთქმაა. ყო-
ველი სამწერლობო ენა, რომელსაც უამითგან
მისი გაჩენისა განსაზღვრული დროის განმაე-
ლობაში მწერალთა ურთი-ერთის წაბაძვით და
წერის წესთა მიჩვევით თვისი ტრადიციები
უჩნდება, დადგენილია. მაგრამ სამწერლობო
ენაც უამთა მსგელობაშივე ისევე განიცდის
ცვალებადობას მრავალი მიზეზის გამო, რო-
გორც ყველაფერი ბუნებაში და კაცთა საზოგა-
დოების ცხოვრებაშიც. ამიტომ ეს „დადგენილო-
ბაც“ სამწერლობო ენისა იცვლება. — ქართვე-
ლებს მოგვებოვება ძველი სამწერლობო ენა,
განვითარებული, შესანიშნავი თვისი სისრუ-
ლით და დადგენილობითაც. და მოგვებოვება აგ-
რეთვე ახალი სამწერლობო ენა, წარმოშობილი
ძველი კლასიკური ენის დაცემის შემდეგ, რო-
მელსაც აქვს რაოდენიმე საუკუნე განვითარე-
ბისა, დღემდე, მაგრამ რომელიც ისე არ არის
დადგენილი, როგორც იყო ძველი კლასიკური
ქართული. ძველ ქართულად წერა დღეს შეუძ-
ლებელია და აბსურდი, მაგრამ გრამმატიკა ძვე-
ლი ქართლისა და ახალი ქართლისა არსები-
თად ერთი და იგივეა და ახალმა ქართულმა
სამწერლობო ენამ დიად უნდა ისარგებლოს
ძველით, რაოდენაც ამას ითმენს შეცვლილი
და ძველისაგან განსხვავებული ახალი, თვისი
დადგენისათვის. მაგ. რატომ არ უნდა იყოს
ყურადსაღები ა. შანიძისაგან შესანიშნავად გა-
მოკვლეული წესი პრეფიქსთა ხმარებისა ძველ,
საშუალო, ახალ და დიალექტების ქართულში
და ამის მიხედვით, სრული შეთანხმებით **ქარ-
თულ გრამმატიკასთან**, მისი წინადადება პრე-
ფიქსთა ხმარებისა ახალ ქართულ სამწერლობო
ენაში? რატომ არ უნდა განიდეგნოს ახალი სამ-
წერლობო ენითგან გამოთქმანი: „ჩემის ფიქ-
რით“ და მსგავსნი, რომელთაც ჩვენი ახალი
კლასიკების თხულებებშიც კი ვბოველობთ?
ძველი ქართველი დასწერდა „გონებითა ჩემი-
თა“, სადაც „ჩემი“ იგივე აბლატივია შემოკლე-
ბული, **ჩუ - თან - ოდ**, „ჩემ - ის“ კი ნათესაობი-
თი ანუ გარეგნულად მისი მსგავსი ბრუნვა, შე-
უღლებული აბლატივთან „ფიქრ - ით“, რაცა
სრული უგულებელ - ყოფას ქართული გრამმა-



ტიკისა. — რად უნდა იყოს დადგენილი „მო = ვიდ - ნ - ენ“, „წა = ვიდ - ნ - ენ“, „ს = ჭედ - დ - ნ - ენ“ და სხვ., ეს არა საჭირო დიალექტიზმი, სრულიად გრამმატიკულად გაუმართლებელი, რაღაც ანალოგიით გაჩენილი - ნ = ით აორისტიკისა და თვით ნამყო - უსრულის ფორმაშიც? ძველ ქართულად დასწერდნენ: „მო - ვიდ = ეს“, „წარ - ვიდ - ეს“, „ს = ჭედ - დ - ეს“ და სხვ., სადაც დაბოლოვება მრავლ. რიცხვ. მესამე პირისა არის — **ეს**, რასაც ბევრ ზმნაში ახალი ქართულიც ვეღარ გავაცოცხლებთ და არც არის საჭირო მისი გაცოცხლება, მაგრამ „ნარს“ მის წინ ვერ ვხედავთ, რათგანაც ქართული გრამმატიკა მას არ მოითხოვს. ამას ისიც გვიჩვენებს, რომ ბევრი ქართულ დიალექტში ამ „ნარს“ მართლაც ვერ ვხედავთ. „ნარი“ ძველი ქართლისა მოქმედების გარდამტანი ზმნის აორისტიკის ფორმებში: და - წერ - ნ - ა = მან დაწერა მრავალი, და - წერ - ნ - ეს = მათ დაწერეს მრავალი და სხვ. მრავალ - რიცხვის ობიექტიური სუფიქსია და მით არის გამართლებული მისი ზმარება, ხოლო მოქმედების არა-გარდამტანი ზმნის ფორმის, მაგალითად: გა - გვ - ე - ქც - ნ - ეს „ნარი“, რომელსაც „ვეფხის - ტყაოსანშიც“ კი ვხედავთ, არც ძველ ქართულში იყო გრამმატიკულად სწორი და ახალი ქართლის დადგენისათვისაც არ არის გამოსადეგი. — რად არ უნდა იყოს დადგენილი მხგ. **ც - ით - გან**, სრული აბლატივი ბოლოს - დებულით — **გან**, ნაცვლად მისგან წარმომდგარი ვულგარული **ციდან** - ისა, მით უმეტეს, რომ ძველი სრული **ც - ით - გან** ზოგიერთ ქართულ დიალექტში დღესაც ცოცხალია? და სხვ. და სხვ.. — აი ასეთი დადენა წერის წესისა, მართლ - წერისა, სრული შეთანხმებით ქართულ გრამმატიკასთან, სასურველიც არის და საჭიროც. — საქმე არაა ადვილი, მაგრამ ბრწყინვალედ აღსასრულდებელიც კი საქართველოში, რომელსაც მოგოვებიან ისეთნი ენათ - მეცნიერნი და მცოდნენი სამშობლო ენისა, როგორნიც არიან: ა. შანიძე ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვანი.

ქართული სამწერლობო ენის განწმენისათვის საშუალებანი არ გვაკლიან: 1. ძველი ქართული მწერლობა ისე მდიდარია, რომ ბევრი ფრიად კულტურული ეროსათვისაც იგი სანატრელი იქმნებოდა. უამთა ივთარებაში ქართლისაგან შეთვისებული მრავალი უცხო სიტყვის ქართული მაგიერი იქ მოიპოვება. ეს ქართული სიტყვები ძველ სამწერლობო ძეგლებშია, მაგრამ სი-

ძველით არა მკედარი. მათი სიძველითგან გამოლევა და ახალ ქართულში მათი „მოსულიერება“ უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს ქართულის განმწმედელთა. მათი დაშვრონა დიდი იქმნება, — უზარ - მახარი ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა ადვილი საქმე არ არის, — მაგრამ ნაყოფიც მათი ღვაწლისა დიდი იქმნება. — ტყვილად ხომ არ უწერიან საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ წინაპართ, რომ მათმა მოდგამს საჭირო დროს მათი ნაღვაწით ვერ ისარგებლოს ჩვენი ახალი ენის ისეთსავე ხარისხზედ დაყენებისათვის, რომელზედაც იდგა მათი ძველი. 2. საქართველოში მრავალი დიალექტია ქართული, აგრეთვე სამი ენა ქართული ჯგუფისა: ჭანური, მეგრული და სვანური, შემცველი აუარებელ სიტყვათა და გამოთქმათა, რომელთა ვადმოტანით ქართულ სამწერლობო ენაში ეს უკანასკნელი „გაქართულდება“, გაიწმინდება. 3. ზმირადი ენისა ვაწმედისათვის არც არის საჭირო ყველაფრის ნაძალადევი გაქართულება, ზმირად ამისთვის არც ძველი ქართული კმარა და არც დიალექტები, მაგრამ საჭიროა ძველ, არა მოხდენილ უცხო სიტყვათა და გამოთქმათა შეცვლა ახლით, ხოლო უცხო ელემენტთა განდევნის ტენდენცია ქართულითგან მარტო იმიტომ, რომ იგი უცხოა, შემცდარი იქმნებოდა, რათგანაც ქვეყანაზედ არ მოიპოვება არც ერთი სრულიად ეროვნული ენა, თავისუფალი უცხო ელემენტებისაგან. 4. გონიერი წარმოება ახალი ქართულ სიტყვათა არა მოხდენილ ძველ, უცხოთა ნაცვლად კი სიტყვის შემოქმედთა ნიჭის საქმეა და საქართველოში არც ასეთი ნიჭის მქონე ხალხი გვაკლია.

ჩვენი ენის გამდიდრების საშუალებანი იგივეა: ძველი ქართულის, დიალექტების და ჭახურ - მეგრულ - სვანურის გამოყენება ახალი მეცნიერული, ფილოსოფიური, იურიდიული, სიტყვა-კაზმული მწერლობის ენათა სრულიყოფად. ამას ემატება შემოქმედება თვით მწერალთა მრავალ დარგში მწერლობისა. და ვერც ძველი მწერლობით მოსარგებლეს ვეტყვით საყვედურს არქაიზმების შემოტანისათვის, თუ ძველი ახალში გაცოცხლებულია, ვერც დიალექტიზმების შემოტანს, თუ დიალექტიზმები ენას ამდიდრებენ და აწვენიერებენ, არა თუ ამბხინჯებენ, და ვერც სიტყვათა და გამოთქმათა შემოქმედთ, თუ მათი ნამოქმედარი მათი თვითნებობის ნაყოფი არ არის და არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას.



ყოველივე სხვა საქციელის ხელოვანთა საქმეა. მათ შემოქმედებას თავისუფლება უნდა მიეცეს. შექმნის მათი შრომა, გონება და ფანტაზიის დიდს და შევნიერის, — ნამდვილად დიდი და შევნიერო ყოველ განქიქებას აიტანს და ის დაჩეხება მსარადის, რაც არის. ხოლო უდიდო ნამოქმედარი უამს ვერ უძლებს და ვნებაც მისი მკირეა და ხან — მოკლე, გაქარწყლებული და დაფარული დიდი შემოქმედთა ქმნილებათაგან. —

საქართველოში უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული ჩვენი ახალი სამწერლობო ენის განმედისათვის, გამდიდრებისათვის, — დადგენისათვისაც. მართლაც ახალი ქართული ფილოსოფიური ენა, ენა მცენიერების მრავალ დარგთა, მათი საუცხოვო ტერმინოლოგიით და სხვ. რად ღირს! და განა გარეშე ჩვენი ძველი მწერლობით სარგებლობისა და ქართული ცოცხალ დიალექტთა ცოდნისა შესაძლებელი იქმნებოდა მიხვევა იმისა, რასაც მიახწია ჩვენმა უნივერსი-

ტეტმა და სხვა დაწესებულებებმა? ხოლო სიტყვის ხელოვანთ თუ ზოგჯერ თვით — ნებობის აღკვეთა მოეთხოვება, სამაგიეროდ შეუძლებელი და მათი შემოქმედების დამხშობი და შემზღუდველი რამ არ მოეთხოვება, ვინაიდან შემოქმედების პირობა თავისუფლებაა, ბორკილები კი მისი მკვლეელი. ეს უნდა იცოდნენ მათ, ვისი სურვილი და მისწრაფება მართლაც არის ჩვენი ახალი სამწერლობო ენის განვითარება და დიად ეროვნულ სიმდიდრედ ქცევა, — ისე როგორც ძველი ქართული მწერლობა იყო სიმდიდრე და სიამაყე ძველი ქართველი ერისა, ჩვენ მიერ მისგან მიღებული ვითარცა უძვირფასესი მემკვიდრეობა.

ვიღვარათ, რომ ის მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენ ვარდავსკემთ შემდეგ თაობათ, კიდე უფრო ძვირფასი იყოს, ვიდრე ჩვენ წინაპართაგან მიგვიღია“...

მის. წერეთელი

მ ნ ზ ა ღ ი

ამ ნოველის გერმანული ტექსტი დაბეჭდილია წიგნში „Kaukasische Novellen“, რომელიც 1932 წელს გამოვიდა „Jnsel Verlag“-ში, სხვა სათაურით.

ზაფხულის დამდეგი იყო, როცა ერთი რუსული საფილმო საზოგადოებისაგან წინადადება მივიღე, გავყოლოდი მის მიერ გამზადილ ექსპედიციას ხევსურეთში, როგორც მცოდნე ქართული ენისა. დიდი სიხარულით შევხვდი ამ წინადადებას. ენლა შემეძლო ადგილზე გავცნობოდი ამ უსაიდუმლოეს ტომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის. ხევსურები შეჩვენებოდნენ შორიდან მუდამ როგორც ცოცხალი დანაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნოებში გადასული ხალხისა. ჩემმა ნატრვამ ამ დანაშთის ხილვისა იმატა ფრიად. ერთს მზიან დღეს კიდეც შევუდექით გზას კავკავიდან. ექსპედიციის ოთხი კაცისაგან შესდგებოდა. მე მესუთე ვიყავ.

საქართველოს ს ა მ ხ ე დ რ ი ა გ ზ ა ჩემთვის ზრულყოფილი ქმნილება ბუნებისა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თვალწარმტაცი და ლამაზია: სადმე სხვაგან შესაძლოა უფრო თვალწარმტაცი და ლამაზი ადგილი მოინახოს. ეს გზა ერთი მთლიანი ხელოვნური ქმნილებაა, ორას კილომეტრზე ჰარმონიულად გადამოლილი

— აქა მისი უპირატესობა. ყოველი ნაკვეთი მისი ლანდშაფტისა გულისხმიერი ელემენტისა კომპოზიციური სასტიკად დაკული მთელისა. კავკავიდან უნდა გამოხვიდე, რომ ნამდვილად იგრძნო სიმშვენერე მისი; თბილისიდან იგი შესაძლოა მოგეჩვენოს როგორც უკულმა გაშვებული ფილმის ზოლი. მიწა აქ მართლაც „დედა მიწა“, თბილისაში იანი და ნაყოფმადლიანი. გულის ფრიალით გზნებ ცოცხალს მძღვისან მითოსს: წინაქვეყნიური დაგქროლვას და გველეხა აქ თავს.

მივალწით დაჩიხლის ხეცს. თვითონ ხმოვანებაში ამ სახელისა „დარიალი“ მოცემულია ჯადოსნური ასახვა ადგილისა. დადუმებულნი კლდენი სუნთქვენ მყუდროებას. ხოლო ეს სიმშვიდე, არაა, ეს უფრო უძრობაა: თითქო ზვავდენანი ოკეანესი გაქვავებულიყვნენ. გგონია, ვითომ ციკლოპური მიქელ ანჯელო ყოფილიყოს აქ სამეშაოდ და უმძრაფრეს დაძაბულობისას გაგიჟებულიყოს იგი: და სისრულის მაგიერ დარჩენილიყოს ღნიშ დემონთა ქოტიურობა. სამართისებური გარინდებულობა კლდეთა, ნაპრალთა, ლოდთა. დროდადრო გეჩვენება: ესაა გასკდენა ეს უძრობა დაუმთავრებელ ელემენტთა და ატეხილ გრივალად ავარდება ყოველივე. თერგის ხმაური არღვევს და თავნე აღრმა-



ვეებს კლდეთა მდუმარებას. შიში ვიპყრობს არაადამიანური.

განვვლეთ ხევი და მივაღვიქით პატარა დაბას ყაზბეგს. მარჯვნივ იკამოჩნდა თვითონ მყინვარი, მარად დათოვლილი. იგი დგას მყუდროდ თავის თავში ჩასვენებულნი: თითქო შინაგან მისსა არა ზღებოდეს რა. სდგას ყოვლის ფაზზე, რაც ზღება, თვითმყარი და თავისთავადი. ხანდახან იგონია, არა მიწიერისაგან, არამედ სხვა ნივთიერებრისაგან იყოს იგი წარმომდგარი: ვულკანური, ხოლო სიმძიმისაგან თითქო განთავისუფლებული, ინთქება იგი უსაზღვროებაში, ან უკეთ: ერთვის მას.

გავცილდით დაბა ყაზბეგს. მივუახლოვდით მღეთს. დარაღის ხევიდან რაცა მღეთში მოხვალ, გზნებ შეგვიდევ დღეს შექმნისა: ისე ნეტარ დამატებოვლია ეს ადგილი. მღეთში თითქო მიწასთან ერთად მიჰქროლავ სადღაც უცხო უცნობ მხარისაკენ. სინაზითა და სიღბილით არის აქ ყოველი მოცული. ნელინელ ეშვება ჰაეროვანი შორეთი სულში. განშორებისაგან ამა სოფლისაგან უთუოდ მღეთს აირჩევ. ერთხელ კიდევ ვიგეძე მისი მადლი.

ღუმეთში დავთვირავთ ცხენები და ვამყოფნი და ჟინვალისაკენ ვავფშურთ. აქ ერთვიან ერთიმეორეს ორი ტოტი არაგვისა: ფშავისა და მთიულეთის. ჟინვალისაგან მალაროსკარის გზით შუაფხოსაკენ ვავფშავრეთ. მივაღვიქით ორწყალს: საცა არაგვი ორ ტოტად იყოფა. აქვე იწყება ერთი ხევი ძნელგასავლელი.

მე ვიცოდი, რომ ფშავები მგოსანნი არიან. ერთმა აღმოჩენამ მაინც ვამაჟვირვა: ტყეში ხეებზე აქა-იქ ამოჭრილი შაირები ვიხილეთ. კითხვისას ვიგზნე უეცრად: თითქო ეს შაირებიც მცენარენი ყოფილიყვნენ.

გზა გაძნელდა თანდათან. განვვლეთ როგორც იქნა ერთი წავარნა თავბრუსხვევ სიმალეზე ნაპრალების გასწვრივ. ჩამდენიმე ვერსისა გავლის შემდგომ მივუახლოვდით სოფელ მატურას. აქ წავარნას „ფშავის ნახტომი“ ჰქვია: ვადმოცემით აქ ერთი ფშავი ცხენიდან ვადარჩებლა ხრამში. ყველგან კლდეთა ეხნი და ქვის საფეხური. აქა-იქ ღრებზე და ხრამებზე ბოჯირები: უხარმხარნი ძელნი ერთი კლდის კიდურიდან მეორე კიდურამდე ვადავლებულნი. გზის სიგანე ალაგ-ალაგ ერთი ალაბის მეთოხვედი თუ იქნება. უფსკრულში იჭაფება არაგვი. შიშის მომგვრელი არე: ვული იწყებს რჩხს.

მატურადან გზა ავიღეთ ჩრდილო მიმართე-

ბით, საცა არაგვის გვერდით მეორე მდინარე მოხმარობს. უეცრად თავსა ჰყოფს უხარმხარი ქედი მთისა, რომლის იქით ხევსურეთია. ამრეცი ბილიკი ზღება უფროდაუფრო საშიშარი. ირგვლივ მდუმარება სუფევს. ჩვენც ვსდუმთ. მივალწიეთ უღალტეხილს. უეცრად მთის თხემის ორივე მხრით წამოიშალა ნისლი, რომელიც საოცარი სიმალით დიდდებოდა და სქელებოდა. რამდენიმე წუთში მოიცვა მან ირგვლივ მიდამო. შიშმა იმატა. ხოლო მყისვე ვიგრძნეთ უცხო რამ: თითქო კლდე ზომალდი ყოფილიყოს უდიდე და მძლავრი; სიხმარეულ მიგვაქანებდა იგი უსაზღვროებაში ცის რძეთითრი შორეთის მიმართ. იყო ერთი წუთი: მეგონა შევეცხე მარადობის სამოსელს. უღრმესი ნატრვა, რომელიც თან გამოჰყვა ჩემ გულს აქეთკენ, იქცა ჩვილ და ნახ ელევიად.

განვვლეთ ვიწრო ბილიკი. ირგვლივ უდაბურობა და მდუმარება. ვავარეთ რამოდენიმე ვერსი. ხევი გაგანიერდა ოდნავ, ამწვანდა; აქა-იქ ტყიანი ალაგიც გამოჩნდა. კლდენი სთვლემდნენ ხავსმოდებულნი. მუჭკრემა კაჟდარღვიან თირქევენარზე ლივლივებდნენ თბილი ზავთიანი ხალები. შორს — მთოვლილი მასსივები მთისა, ჩვენკენ — კლდეთა მოშვებული ნაპრალები. ბორცვთა დაფენებანი, ხალებით აქა-იქ ამწვანებულნი; შიგადაშიგ — აღვივებული ყვითელი ხორბალველები. გამოჩნდა პირველი სოფელი ხევსურეთისა, რომელიც ცინეს უფრო წავაგაგდა. თირქვისაგან ნაშენი სახლები კომკისებურად იყვნენ ერთიმეორესთან მიჯრილნი. სახლებსა და კლდეებს ვადაჰქრავდა ერთიდაიგივე ფერი. შთაბეჭდილება იყო: თითქო სახლები კლდისაგან ყოფილიყვნენ ამოზრდილნი. არწივთა ბუდე ნამდვილი.

**

ერთს მოსახევში უცხო ვინმეს წავაწყდით თავს. მივესალმეთ. იგი ახალგაზრდა იყო. უნდოდ გემზირავდა იგი ჩვენ, შეჩერებული. როცა ქართულად გამოველაპარაკე, მყისვე მოსცილდა მის სახეს უნდობლობა. შუატანისა იყო. ტანაცმულობა ხევსურული ჰქონდა: მოკლე მოშავო ჯუბა, მატყლისაგან ნაქსოვ წითურ პერანგზე ვადაცმული. ყელთან და მკერდთან სწორი ზოლები პერანგისა მძივებით იყვნენ ატმულნი. განიერ მდგენ-ფენზე ჯუბა ამშვენებულნი იყო გოჯისოდენა ჩაქოვილი ჯვრებით. შარვალი არაგანიერი; ქუსლებიდან მუხლებამდე მუჭკრემა ლეკვერთხები. ხევსური 22 წლის თუ

იქნებოდნა. მხარზე ბრტყელი რკინით მოჭედული ფაჩი და წელზე არმოკაული ხრმალი სწორკუთხიანი ტარით; ღვედზე ხანჯალი; ხელში სახრე; თასმის გრეხილი, შიგან მადეფლოზტენელი; თვალს ხედებოდა სისმქლე მისი სხეულისა; შუბლი მაღალი, ძვლები საფეიქლებთან თხელი და ბრტყელი; ნიკაპი წამსხელი, ყურები ოდნავ წამოშვერილი; სახეს მისსა გადაპკრავდა ფერი გამომწვარი აფურისა; ლაწვთა ძვლებს ეტყობოდათ სიძლიერე; სახის კუნთები მავრად გადაჭინული ტყავით ცხადპკოფდნენ ძალას, საკუთრივ საკვნიტი კუნთები; თვალები დიდრონი და ლეგა; ზედა ქუთუთოები ნაღვლიანად ძირს დამეცხულნი — თოვლიან ველთა მოლოურჯო ციხლის გამო? ვაჟი ხშირად ახამხამებდა წამწამებს. მის ფიზიურ ავებულებში სჩანდა სულიერი თვისებაც მისი ტომისა: უნდობლობა და ამყი თავდაჭერა, მზყოფა გამოწვევისათვის და უშიშრობა, თავნებობა და გულოვანობა. უნდობლობა მასში შეწყვილებული იყო ბავშვურ რცვენასთან თუ კდემასთან. სიტყვა მისი სრულმზოვანი იყო, თქმა მოჭრილი და მკვეთრი.

„ქართველ ხარ?“ შემეკითხა იგი.
„ნაწილად“, მივუგე ცოტა შეგვიანებით.

უნდა დაგენახათ ხევსურის სახე. ეს ვაჟი, რომლის არსში ყველა ელემენტი ერთ სახედ იყვნენ ქვეულნი და რომელმაც არ იცოდა, რაა განყოფა, ცხადია, ჩემს პასუხს „ნაწილად“ ვერ გაიგებდა.

„რა იქნების ეს—ნაწილად?“ მომიბრუნა მან კითხვა ოდნავ შუბლმოქუშულმა.

უნდა ამეხსნა მისთვის. მამით მე რუსი ვარ, გვარად: ვალუევი; დედით კი ქართველი. ჩემი მშობლები დღესაც თბილისში ცხოვრობენ. დავიბადე საქართველოში და აღვიზარდე მის წილში. სისხლით ვგზნებ მე თავგადასავალს ქართველთა. რასიული ელემენტი ჩემს პიროვნებაში უფრო ქართულია ვიდრე რუსული. ხოლო ქალღმერთის მიხედვით რუსად ვითვლები მაინც.

ჩემი დედა ქართველია—მეთქი, აფუხსენი ხევსურს.

„მამა?“ მკითხა მან ღიმილის მოჭროლევით.
„მამა რუსია“, ვუპასუხე.
ხევსური მოიღუშა კვლავ.
„რაა გქვია შენ?“ დამიყენა კითხვა და თვლებში ჩამაცქერდა.

„გეორგი ვალუევი!“ ვუთხარი რუსული გამოთქმით.

ხევსურმა იწყო ბუტბუტი. „გეორგი, გივარგი“. რუსული „გეორგი“ შესცვალა მან ხევსურული „გივარგი“. „ვალუევი“ რომ მიადგა, ენა არ დაემორჩილა, ვერ გამოსთქვა. მაშინ შეეცადა იგი გვარიც ხევსურულად გადაეკეთებინა. დიდხანს ლეჭდა გამოსათქმელს, სანამ მოსანახეს სწვდებოდა: „ვალუაური“, დაასკვნა მან.

„ხევსურად გინდა გამხადო?“ შევეკითხე მე ღიმილით.

„მერე რაა? იქნების ცუდ?“ იმის სახესაც მოედო ღიმილი; ღიათნურ სხმული მარცვლებით განიმეორა მან: „გივარგი ვალუაური“; თითქო მომხათლა ამით ხევსურად.

ამასობაში არც „კამერა“ იყო გაცდენილი: ხევსური გადაიღეს ჩემმა თანამგზავრებმა ნაირნაირ. საცნაური რამ: ფოტოგრაფიულ აპარატს ხევსურში არაფერი გაკვირვება არ გამოუწვევია. მას ვეუცხოებოდით ჩვენ; დანარჩენს იგი იღებდა როგორც თავისთავად ცხადს. მდგარიყო მის წინ ამ წამს ნაპოლეონი თუ გოეტჰე, ვერცერთი მათგანი ვერ გამოიწვევდა მასში გაცეხას. ეჭვი არაა, იგი მათს წინაშე პატივცემით დაიჭერდა თავს. მაგრამ იმავე დროს იგი დაწმუნებული იქნებოდა შინაგან, რომ სადღაც, ყოფის ერთს არსებობის მუხლში იგი მათზე მაღლა სდგას. ასეთი იყო შთაბეჭდილება, მისგან გამოიწვეული. ხევსური იდგა ჩვენს წინაშე შინაგან ამყი, ხოლო არა მედიდური.

„ქართულს კარგს უბნობ“, მომმართა ფახარე ბულომა. ხევსურისაგან ეს დიდი ქებაა.

მგელიკა ალუდაური—ასე იწოდებოდა ჩვენი პირველი შემხვედრი ხევსურეთში — გაგვიძღვა სოფლისაკენ.

მზე იდგა მაღლა, ხოლო არ იყო მწველი. ღრუბლები ჰვენდნენ ჩრდილებს მომწვანო შიდამოს. გული ახალისდა. ირგვლივ სიხარულს აღვიძებდა ყოველი: მდინარის დენა, ქვიშარის ხალისი, ცილი ნაკადულის სარკიდან, ფორაჯ—მოხალული კლდეთა ფერები, ხავსმოკიდებულნი ნაპრალები. ხალისით გვემლეებოდა წინ ხევსურეთი. ქვეითი მივდიოდით ეხლა. ჩემს გვერდით მხარდამხარ მგელიკა მოაბიჯებდა. აქა-იქ მუხა გვხვდებოდა ნამეხარი, ვაფატრული, მაგრამ მაინც მაგარი. ფიქში მგელიკას ხან მუხას ვადარებდი, ხან კიდევ თვითონ მუხს. უცრად თვალი მოგვარ ნაწერს კლდის ფენზე. შეგუდექ მის კითხვას. მგელიკა მათვლიერებდა გაჩუმებული. გავყევით ქვეითი. კიდევ ერთი წარწერა თირზე. ვაოცებამ იმატა. გამახსენდა ახემენიდე-

ბის წარწერასი მიდიაში. მოკლედ, მოგვითხრობენ იქ მიდიას მეფენი თავიანთ თავგადასავალს. ხევსურები კი ქვაზე მგოსნურ ხილვას ამეტყველებენ. გულდასმით ვკითხულობდი მახვილ ფოლადით თირზე ამოჭრილ შაირებს. მრავალი რამ იყო იქ თხრობილი: ჯიხვებზე ნადირობა, მონადირეთა მარჯი თუ მარცხი, შორკინალთა შეშმა. „აქ ცხოვერობენ ნაშიერნი ჰომეროსისა“ — გავიფიქრე. ქართულ პოეზიას კარგად ვიცნობ. მისი ხევსურულ-ფშაური ფშანიც არაა ჩემთვის უცხო. ვაჟა ფშაველას შაირთა კრებული განუყრელი თანამგზავრია ჩემი. მე არ ვიცი: ვინ დაუყენო მას გვერდით თანადროულ პოეზიაში. მისი მგოსნური აღვივება მაგონებს ძველთაძველ კაცის ექსტაზს, რომელმაც უეცრად მუხის ქერქთა ხეხვისას პირველად იხილა ცეცხლი. მას სოვს ზაფხული 1915 წლისა, ოდეს ეს დიდი მგოსანი ტფილისის ერთ საავადმყოფოში კვდებოდა. ღრმად მოესურვა მას, მშობლიური წყარონი იხილა კიდევ — გრძობდა იგი წინასწარ, რომ მამაპაპათა საფანეში გადადიოდა? სცადა ლოკინიდან წამოდგომა — ვერ შეძლო საცოდავმა. ფოთლებიანი რტო მოითხოვა მან — მოუტანეს; დოქი მოითხოვა მან, ანკარა წყაროს წყალით საესე — მოუტანეს. რტო მოიხვია ტანს — იგზნო მისი ნედლი ძალა; კიდევ ერთხელ სავსე დოქს დაეწაფა მოწყურებული — იხვეს ნაკადის ცინცხალი სიხალასე, უკანასკნელად. ასე შეერთო იგი მიწას დედას, იგი: ცეცხლოვანი ნაშიერი გილგამეშისა და ილიადასი.

ვკითხულობდი თირზე ამოჭრილ შაირებს; ვგრძობდი, თუ როგორ მერეოდა მგოსნური თრობა და ვიწყე წარმოთქმა ვაჟა ფშაველას ერთი შაირისა. გაოცებული და გახარებული მისმენდა ახალგაზრდა ხევსური. მღუმარე ნაპრალთა შუაგულში ეშვებოდნენ სიტყვები და სახენი ვითარ დენა სრულსმოვანი ლითონისა. ვაჟა ფშაველა სწერდა ფშაულ-ხევსურულ კილოზე. ეს კილო არ არის პროვინციალიზმი, იგი უფრო არქაიზმია. ლაკონური გამოთქმა აქ უკიდურესობამდეა დაყვანილი. შაირებში ეს უფრო ცხადდება, რადგან მათი შინაგანი აგებულება ელიზსია. სიტყვები აქ ყოფის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სუნნილება პირველქმნისა. მეტაფორები უბრალო მედარებანი კი არ არიან აქ, არამედ თვით სინამდვილე, განცალკავებულ საგანთა თუ მოვლენათა შინაგან გადაშხელები. ყოველი თქმა აქ ელემენტურია როგორც ცეცხლი.

ჩემი თანამგზავრნი ფოტოგადაღებით იყვნენ

მოშორებით ვართულები. მე ვაგრძელებდი სხვადასხვა შაირის წარმოთქმას და ვთვრებოდი ჩემივე ხმით. ხევსური ყურს მიგდებდა როგორც განაბული ნადირი. უეცრად ავარდა იგი, მოახლტა ნაპრალის ერთს ენს და მიმოავლო თვალი მძლავრად გაშლილ გარემოს. ესლა ხევსურმაც იწყა შაირობა. მთიულები ჩვეულ არიან ერთმანეთს გადასახონ შორიდან; დაწმენდილი ჰაერი მთისა აგანიერებს მაგრად მათ ფილტვებს; საკვირველი არაა, თუ მათ მგარბგერისანი ხმა აქვთ. ლითონური იყო ხმა ხევსურისა. იგი შაირობდა და ჰყვებოდა: ქისტებს გაერევათ ცხვართა ფარა თუშებისა; უკანასკნელნი გადავენებოდნენ მათ, დაემარცხებინათ მოშვარდნი. სიტყვებში სჩანდა გაავება და შურისგება. სხვა არაფერი? ხევსური შაირობდა და ჰყვებოდა: თუშებმა ვეღარ შესძლეს ჯოგის მოძრუნება: მისი მეთათური რქამაგარი ვერძი მიიზობდა გაქანებულ სულ იქით და იქით, მასთან ერთად მთელი ფარა. ხევსური შეჩერდა ერთ წამს, სახე ეცვალა: თუშები იძულებულნი გახდნენ მოცკლათ მეთათური ვერძი, რჩეული, საყვარელი, რათა შეჩერებინათ გავარდნილი ჯოგი. მოშაირეს თვალები აცრემლდებოდა. მე ყურს ვუგდებდი განლინგებულს. ხევსურმა ესლა სხვა შაირი დაიწყა: ერთი მონადირე ჯიხვზე წასულიყო სანადიროდ; შეჰყროდა ვეფხს; ერთი სროლა და მოეკლა ნადირი; ხოლო ამ წუთს ნადირს ტორი მოეკრა მონადირისათვის და ორივე ზრამში გადაჩხელიყვნენ. ხევსურმა შეისვენა ცოტა, ხოლო ეს არ იყო ბოლო. მოშაირე განაგრძობდა: დედა მონადირისა დასტირის თავის დაღუბულ ვაჟს; ხოლო თანვე ვეფხსაც მიუზღებს სარგოს: დიდი სახელია მონადირისათვის ვეფხთან შეშმისას დაღუბვა. გარნა არც ამით თავდებოდა შაირი; თვალთა სიზმარში ხედავს დედა მონადირისა: ვეფხის დედაც დასტირის თავის შვილს. ხევსური დადუმდა. შერხეული ვიდექ: რა სინაზე იყო აქ შაირის ბოლოს, რა ხშიერება გული-სა! ნელ კოსმიურ მწუხარებაში გადადიოდა ბედითი შეშმა მონადირისა ვეფხთან. მოშაირეს ეტყობოდა შაირით თრობა. კიდევ ბევრი იზაირა მან. გივანტე კლდეთა შუა, სადაც მღუმარება თითქო განუზომელი სიმალლიდან ჩამოშვებულიყო, ორფეოსის ხმას ვისმენდი თითქო, ჰარმონიით ამღვივებულს ელემენტებისა.

**

მგელიკას თავისკენ მიყვავდით. ვუახლოვდებოდით ცინისებურ გამართულ სა-

ბინადროს. სახლი სახლზე იყო კლდის ფენ-
ზე გასწვრივ მიშენებული, ორსართულიანი —
ისე, რომ ქვედა სართულის სახურავი აიგანად
ჩშლებოდა ზედასათვის. სახურავები ქვიშანარე-
ვი თიხით იყვნენ გადაგლესილნი. ზედა სართუ-
ლი უმეტესად ხისაგან იყო ნაშენი, ქვედა კი
თირიქვისაგან, კირის მაგიერ თიხით და კელა-
თით შეგოზილი.

პირველად ძალღები შემოგვეცემენ წინ,
დიდი თეთრი ნაგაზები: ცხვირშოკლე, პირფარ-
თო, წამოცქვეტილი ყურები. მოგვახლოვდ-
ნენ თუ არა, იწყეს ავი ღრენა კბილების ღრჭე-
ნით. მგელივამ ანიშნა თავალით, რაღაც ჩაუჩურ-
ჩულა — ძალღები დამშვიდდნენ მყისვე.

უკვე დამდებოდა. შეგლივამ მიგვიწვია თავის
სახლში. შევედით ქვედა სართულში, დავსხე-
დით. სკამად მუხის სამტოტა ნამორი იყო. სივრცე
ფართო იყო, მაგრამ ბნელი. სინათლე მხოლოდ
ერთი სარკმლიდან შემოდებოდა, რომელსაც ხა-
რის ბუშტი ჰქონდა გადაკრული. სხენი იყო
მაღალი და სქელი ჭვარტლით მოცული. ერთ
კედელთან კერა იყო ქვებისაგან გამართული;
იწვოდა ნაკელი, რომელიც მკბენ სუნს გამო-
სცემდა. კერის თავზე ჯაჭვით დაკიდული ქვა-
ბი. კედლებთან მივლოავებინათ ტომრები ფქვი-
ლითა და ხორბლით, ყუთები, ჭურჭლეულობა
და ტანსაცმელი. ერთ კედელზე ეკიდა: ნაირნაი-
რი ხრმალი, ხანჯალი, ფარი, სამაჯური, ჯავშა-
ნი. სხენის ქვემო გამართული იყო აქ-იქ ლა-
ტანი: იქ ეკიდა ნატუნნატუნ ცხვარის ძვალი ძა-
ფზედ აცმული. მათი რიცხვით აღინიშნებოდა
დაკოული პირუტყვი. კერის გვერდით იყო გა-
მართული დაბლანდული ზღვარკედელი, რომ-
ლის იქით ოთხფენი იმყოფებოდნენ. სქელი
ფარდით ერთი სივრცე იყო აგრეთვე გამოიჯნუ-
ლი ქალების საძინებლად.

სტუმრები ვერ ვერძნობდით თავს მაინცდა-
მაინც კარგად. მაგრამ მე ვძლიე უხერხულობა.
სახლის მთელი მორთულობაში შევიცნე ელემენ-
ტური კავშირი ადამიანისა და ოთხფენისა. ერთ-
თმა რამ გამაკვირვა: არსად არ სჩანდა თეთრი
ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც უნჯზე, არც მო-
წყობილობაზე. გამოუთქმელი სევდა სუფევდა
ყველგან.

ვისხედით ცალცალკე: მე, ჩემი თანამგზავრ-
ნი, მგელივა, მისი მამა და მისი ძმები — ქალები
ოდნავ განზე: ისინი იღიმებოდნენ და ხანდა-
ხან ხუმრობასაც ბედავდნენ. ვამალეს ტაბლას;
მოიტანეს გამხმარი ქერის პური, ცხერის ლორი

და ჯიხვის შაშხი, თანვე არაყიც. მგელივა იჩო-
ქებოდა ერთს მუხლზე და გვაწვდიდა სტუმრებს
არყით სავსე ყანწებს. ერთმა ძმამ მისმა დაი-
წყო ზღაპრის მოყოლა. შემდეგ შეუდგნენ ძმე-
ზი სიმღერას: თუ როგორ გამოიყვანეს ხევსუ-
რებმა ხელში აყვანილი მდევე ერუკლე ერთი
ომიდან — წაგებულ ბრძოლის შემდგომ არ სუ-
რდა მას ცოცხალი დაბრუნებულიყო უკან. ვუს-
მენდი მგელივას: ეს პირდაპირ ტირილი იყო
ნამდვილი. შედარებით ქართულ სხვა ტომებ-
თან ხევსურები ჰგოვდნენ უფრო ვიდრე მღე-
რიან. აქაც, სიმღერაში, იგივე სევდა. ზღვარკე-
დლის იქით ვაისმოდა რხეული შემუშნვა ახალ-
გაზრდა პირუტყვისა.

ვაშშის შემდგომ ავიყვანა მგელივამ მეორე
სართულზე დასასვენებლად. საძინებლად ჩვენ
აიყვანი ავირჩიეთ. ვაფშალეთ ქურქები, ბალიშე-
ბი. მივლაგდით და გადავიხურედ საგზაო საბ-
ნები.

მთის ნათელი ღამე იდგა. დაღლილი გავცქე-
როდი მალა ცის უსაზღვროებას. ჩემს თანამ-
გზავრებს წამსვე მიეძინათ. მე კი მხერას ვერ
ვაცილებდი თვალუწვდენ კამარას. ნატრვით
ფეთქდა ჩემი გული. საკვირველი: ვგზნებდი,
თითქო მონატრული გული მომწყდარიყო ჩემ-
გან. კიდევ უფრო საკვირველი: ვგრძობდი,
თუ როგორ იესებოდა მოთენთილი სხეული უც-
ხო, ახლად მოდენილი ძალით. ვოცნებობდი და
თანვე ვეშვებოდი ნელნელ მძიმე ძილში ადა-
მისა.

**

მეორე დღეს დავინახე ეზოში: ბავშვები ფა-
რიკაობდნენ. გაკვირებული დავჩი: მათთვის
არ იყო უცხო ხელოვნება მორკინალისა. ხელში
ეჭირათ ხისაგან გამოჭრილი ხრმლები ოდნავ
მოკაული წვერით. მრგვალი მომცრო ფარები
მათი ტირიფის ქერქისაგან იყვნენ დაბლანდუ-
ლნი. ფარკაობისას ბავშვები ხან მარცხნივ და
ხან მარჯვნივ ეშვებოდნენ მუხლით, იმისლამი-
ხედვით, თუ რომელი იყო მათთვის მდგომარეო-
ბის მხრივ უმჯობესი. ხანდახან ორივე მუხლით
იჩოქებოდნენ; ეს ხდებოდა მაშინ, როცა ისინი
რისხდებოდნენ. წესებს ფარიკაობისას სასტიკად
იცავდნენ. შევამჩნიე, რომ ახალგაზრდა მორკი-
ნალთათვის საფრთხე „Prim“-ისა უცხო არ
იყო.

ბავშვების მაგალითმა გამიტაცა და ვთხოვე
ერთს მათგანს ხის ხრმალი ეთხოვებინა ჩემთ-
ვის. განცვიფრებით შემყურდნენ ისინი, ხო-

ლო უფროსი განცვიფრებულად მათვალისწინებდა მგელიკა — ანაზდათ მოსული — როცა მან ჩემ ხელში ხრმალი დაინახა.

„შეგიძლიან ფარიკაობა?“ შემეკითხა იგი.

მის შეკითხვაში ცოტადღენი დაცინვაც იყო შერეული ბარელის მიმართ, რომელიც ხრმალის მომარჯვებაში მთიელს ვერ გაეტოლებოდა.

„დიახ, შემძლიან“, გავეცე პასუხი ღიმილით.

„გინდ იფარიკაო ჩემთან?“ გამომიწვიო მან.

„სიამოვნებით“, მივუგე მე.

მგელიკა სწრაფად გადაშურა სახლისკენ; რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოიტანა მან ორი ხრმალი.

„აირჩიე!“ მომმართა მან.

მე ვიწყე სინჯვა: ხრმალებისა და გავვოცდი: მათზე ლათინური წარწერანი დავინახე. ერთზე ჭწერა: A. M. D. იყო იქ „Ave Mater Dei“? მეორეზე: „Genua“. როგორი გაჩნდნენ ეს ხრმალები ხევსურეთში?

„აირჩიე რაღა!“ შემომძახა მგელიკამ, რომელსაც ვერ გავგო ჩემი განცვიფრება.

მე ავირჩიე ხრმალი, რომელზეც ამოკვეთილი იყო მგელი. თანვე ჩემი ხსოვაც მუშაობდა. სერვანტესი აღნიშნავს: დონ კიხოტს — როცა ბრძანა, ლომის ფალია გაეღოთ — ხრმალი მგელის ნიშნით არ აღმოაჩნდაო. მე კი აქ ქვეყანას მოწყვეტილ ხევსურეთში ხელში მეჭირა ასეთი ხრმალი ამ წამს. მგელიკას დარჩა ხრმალი არწივის ნიშნით.

დიდხანს ვფარიკაობდით. მგელიკა მარჯად მიტევედა მე. მე კი თავს ვიცავდი და ვიცავდი კარგადაც, რაიც მას ახარებდა.

„ოჰო, შენა შეგიძლიან ფარიკაობა“, სთქვა მან და დაუშვა ხრმალი.

მე ვღელმი. იგი შებრუნდა სწრაფად სახლში და თასი გამოიტანა.

„კარგ უბნობ შენ შაირებს, ფარიკაობაჲც შესაძლებია — გინდ გახდე ძმანდაფიც ჩემი?“ შემეკითხა იგი თავშეკავებული.

„სიხარულით“, მივუგე მე. მგელიკამ აიღო კრძალვით ერთი ვეცხლის ნაჭერი, ჩამოათალა მას ცოტა და თასში ჩაუშვა ჩანათალი. შემდეგ აავსო თასი ლუდით და შენაცვლებით შევსეთ იგი, სამსამჯერს. ამ წესით დავმობილდით ჩვენ. ამიერიდან ჩვენი ბედი ერთი გზით წაირიშართა.

**

ახლოდებოდა ხახმატის დღესასწაული. ეს დაუმაღლე მე ჩემს თანამგზავრებს, რადგან არ

მსურდა ისინი დასწრებოდნენ მას; არ მსურდა, რადგან ვშიშობდი, რუსი სტუმრების იქ ყოფნა აძულდებდათ ხევსურებს თავისი რიტუალიდან ბევრი რამ არ ეცნაურებინათ; მე კი არ ვიყავი მათთვის ასე უცხო: ჯერ ერთი ქართული მემარჯველბოდა და მერე მგელიკას ძმანდაფიციც ვიყავი უკვე. ხევსურები ამის გამო მე როგორც თავისიანს მიმიღებდნენ. ჩემი თანამგზავრნი გავშურნენ ხახმატს, მგელიკა და მე კი გავეშვა ერთე ხახმატისკენ. ფულანის ახლო მარცხნით ავუარეთ გვედრი მთის ერთ თხემს, რომელზედაც ამართულია ციხე თამარ დედოფლისა. გვეყვით ქვევით ალაპიური ყვავილებით მოცულ ბორცვებს. ბოლოს მივალწიეთ ხახმატს, მდინარის ორივე ნაპირზე მდებარეს. ერთ ციცაბო კლდიდან კოშკი გადაჰყურებს ხახმატის მიდამოს. იქვე ახლოს წმინდად მიჩნეულ ეწერში, საცა აკრძალულია ტოტის მოტებაც კი, სალოცავი — „ხატი“ არის გამართული. ასეთ ეწერთა არეში მცენარეულთა ზონის მალა ხეებიც კი გვხვდებიან ხევსურეთში: საცნაური მიცემიერთათვის.

წმინდად მიჩნეულ ხეების ჩრდილოებში გამოჩნდა სადა თირიქვისაგან ნაშენი საჯავახე. გალავანში დიდ ლოდებზე ესვენა ჯიხვისა და ირმის რქები. საჯვარის გვერდით იდგა პატარა შენობა, საცა დღესასწაულის ჟამს ღამესათევენ ხევსურები. ცოტა ქვევით — მეორე პატარა შენობა ხალხისათვის. ირგვლივ ქოხები: ერთში ხდიან რიტუალურ ლუდს; მეორეში ინახვენ მას; მესამეში ხორბალია დაგროვილი. სალოცავი დაბალი იყო და ბნელი. გამოვიკირდა, რომ „ხატი“ არივითარი ხატი არ იყო ამ სახელის ბარის მნიშვნელობით. სამაგიეროდ შრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, ხისაგან გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი; აგრეთვე: უთვალავი დოქები, ქვაბები, კასრები, ორშიმობები. ერთადერთი რამ წმინდა სალოცავში იყო „დროშა“ — გრძელი, მოვეცხლილი ლატანი, ვეცხლისავე რკინაწვერიანი ხრმალით. დროშას ეხვია ალაში, რომელიც მოჭროლისას ფართოდ ფრიალებდა. ყოველი ეს უბრალო იყო ვით ლოცვა. ეწერი მსუნთქავ მყუდროებაში იყო ჩასვენებული.

ხალხი მოგროვდა უკვე. მლოცველნი ელოდნენ მთავარ ხევისბერს. ბოლოს გამოჩნდა იგიც: ახოვანი, მჭლე, ძალოვანი. ყველამ მოიხადა ქუდი. შეკრებილთ უშეტეს წილ თავი გადააარსული ჰქონდათ; არცერთისათვის არ შემომჩნევია სილაქვასავით მღივი თავისქალს. თვითეულ

მლოცველს მოეყვანა საზოგადოებრივი ცხოველი, უმრავლესად ცხვარი; თანვე დოქიცი ლუდიო სახვე. ხევისბერი შეუდგა წირვას. აანთო სანთელი, აილო დოქი. მის წინაშე დადგა ერთი მლოცველი. ბერმა იწყო ლოცვა: „დიდება გამჩენს, დიდება დღევანდელ დღეს, დიდება მზეს და მის თანამყოლთ! მოგცეს მალაღმა — აქ მან სახელი ახსენა მის წინ მდგომ მთხოვნელისა — ბედნიერება და კურობევა!“ ხევისბერმა თავი მალა ამართა და ნახევრად მოხუჭული თვალებით მიმართა მან ეხლა უხილავს: „ისმინე ვეღარება მლოცველისა! აჩუქე მს ვაჟი, ამრავლე მისი ნაშვილი და მოსავალი მისი! ეხმარებოდე მს მდინარის ვანვლისას! შეეწეოდე ავადმყოფს მისას! შეეცოდა მან, აბატიე ცოდვამ! მოაფინე მს შენი სამოსელი! ნუ მოაკლებ მს ძალას, რათა გარეკოს მან მტრები! გამოეჭეცეს იგი მამულეხელსა, მოეშველე მს, რათა ხელი არ ჩაუვარდეს მღვინელს! აკურობებდე ნამუშევარს მის ხელთა და მის ოთხფეხთა! იყავ მოწყალე მის: შარადის!“ დაამთავრა ბერმა ლოცვა, მოსვა ცოტა ლუდი და შემდეგ გადასცა იგი იქვე მდგომ შემწე ბერებს. ეხლა ამათაც მოსვეს ცოტა და დანარჩენი ჩაასხეს გვერდით მდებარე კასრაში. მთავარი ხევისბერი შეუდგა ეხლა კურატის შეწირვას. ბასრი დანით გადასერა მან ყელი ცხვარისა და სისხლის ნაკადი ხის გობში გადაუშვა. ხელი დასველა სისხლით და თითებით მოსახა მლოცველის შუბლზე ნიშანი ჯვარისა. მამველნი ხევისბერნი კურატის სისხლს სალოცავის კედლებს ასხურებდნენ. ხევისბერმა მოსჭრა შემდეგ მსხვერპლს თავი და გაუწოდა იგი შემწირველს. ბერებმა გააცვილეს მლოცველი და და მათაც დალოცეს იგი: „მიიღე მოწყალეობა დღეთისა!“ ეხლა მეორე მლოცველი წარსდგა ხევისბერის წინ, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე შემდგომ. ხევისბერი იდგა სისხლმოვლელთა; ხელში ვალესილი დანა ეჭირა, რომელსაც აგრეთვე სისხლი სდიოდა. ბერის მთვრალი იყო სისხლით. ანთებულ მხერგდნენ მისი თვალები. იგი თითქო მზა იყო, საკუთარი შვილი მიეტანა მსხვერპლად, შეშლილს ჰვავდა იგი წმინდას, რომელიც უკანასკნელ საიდუმლოს ეხება.

ხალხი დაიყო ჯგუფებად სოფელთა მიხედვით; ქალნი ცალკე, კაცნი ცალკე. გამალეს რიგრიგად ტაბლები. მოიხანეს: ხორცი, ხინკალი, ლუდი, არაყი. წირვა თანდათან ნადიმში გადავიდა. სვამდნენ ჯიხვის რკით. ხალხის ხალისობა მზის ჩქერალში იხსმოდა. მღეროდნენ საგმირი

სიმღერებს. ერთი იწყებდა მეორეს გაშვირებაში. შაირებით შებმაში ყველა გამარჯვებული გამოდიოდა. რიგებმა ფარეკობაც იწყეს. მორკინაღნი ჩაცმული იყვნენ როგორც მეომარნი. ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკლავური; მხარზე ფარი და წელზე ხანჯალი; თავზე ჩაფხუტი ეხურათ. რომლის ქვეჩამოშვებული რკინის წერილი ძეწკვები მხრესამდე სწვდებოდათ. ფარები აქა-იქ ნაჭდევნი და ჯავშანი საკმაოდ შეცვეთილნი მოწმობდნენ, რომ მორკინალთ არაერთი მკაცრი შებრძოლება ხდენოდათ. ბევრს მათგანს ქრილობის კვალი შერჩენოდა სახეზე: ეს ალბათ „საცერულის“ მოხვედრით. მეომარნი ფარეკობდნენ, როგორც ვიკინგები. ნადიმი ორგაში გადაიოდა. ახალგაზრდა ხევსურები ქალთა ჯგუფების მიმართ ორჭოვ სიტყვებსა და თქმებს ისროდნენ. ქალები ღიმილით უპასუხებდნენ. მონადიმეთა ძალაყრილობა მატულობდა. ეს ძალა საითმე უნდა „გაეშვათ“ — და აი ყმაწვილი ცმირები მოახტნენ მთხლმავარ ცხენებს. მარულა გაიმართა. ცხენებს მოედოთ მხედართა ზარხოში.

მე ვიჯექ მონადიმეთა შორის. ხოლო შინაგან ვერა გაეხდი ზიარი დღესასწაულისა: მაყურებელი დავრჩი მხოლოდ. უცხო ატმოსფერო იშლებოდა ჩემს ირგვლივ. ყოველი ხეცური ცოცხლობდა აქ სიცოცხლით მთელისა. პიროვნული თაური, ტომისაგან გამოყოფილი, უზრუნდებოდა თავის ბნელ საშოს. ცალკეულობა ჰქრებოდა, გვარული ღვივოდა. მოდგმის მთავარი სისხლდენით აყვანილნი, მონადიმენი ფიზიური წყევრები იყვნენ მხოლოდ ერთი უხილავი მთელი. ცალკეულთა უთვალავ ქვეფენებში — ფგონებდი ასე — უნდა ხატულიყო უთუოდ ცოცხალი სახე მთელისა: ტომის. ჩავეუკვირდი სიტყვას „ხატი“. რა არის ეს, თუ არა შინაგანი ყალიბი ზელუხლებელი მთელისა? სალოცავს „ხატი“ ჰქვია, საცა ერთი ხატიც კი ბარის გაგვით არ მოიპოვება. მაშ „ხატი“ „სურათი“ კი არ ყოფილა, არამედ შინა-სახე. ჩემს მიხედვრას სხვა რამეც ამავრება. რიტუალური ლუდის გამოსახდელად წყალი მთელ სოფელს მოეტანა ერთობლივ — ნიშანი მთელის გზებისა. შესაწირავი ცხოველნი სალოცავში კომლოდით მოეყვანათ, მიუხედავად კომლოთა სულადობისა — კიდევ უფრო მკვეთრი ხაზი მთელის წარმოსა-

ხვისა. ხევსურთა იქმანის თავესთავს: „ხატისკმა“. ეს სახელდება მხევედრისა, რადგან ხევსურთა ტომის ნების ამსრულესელია.

**

ჩრდილებში ქალები ისხდნენ. ისინიც ნადიმობდნენ, მხოლოდ თავმჯეკავებით. ზოგი მათგანი იქვე გვერდით მდებარე წმინდად დასახულ ლოდზე შემდგარიყო. ალბათ ისინი უნაყოფონი იყვნენ და წმინდა ქვისაგან მოელოდნენ კურნებას. ქალები ჩუბჩულოდნენ თავიანთ შორის. დროდადრო გადმოხედავდნენ ისინი კაცების რიგებს: ამხანაღისებელი თუ ორასწროვანი მხეებით. რაღაც ორმაგი იყო მათს ღიმილში. უნებურ გამახსენდა საიდუმლო ღიმილი ლეონარდოს ჯიოკონდასი. ქალთა შორის ერთი ახალგაზრდა იპყრობდა განსაკუთრებით ჩემ ყურადღებას: განიერთქმდიანი და მუხლმალაღი. მის სახეს გრემა ზეთისხილის ფერი გადააკრავდა; დიდრონი თვალებიდან გამოჰკრთოდა მოლოურჯო ციალი შორეთისა. ორჯოლ იღიმებოდა და არა უბნობდა რას. ჩემს მზირვას მოჰკრა მან თვალი და მყისვე მოიღრუბლა ეშხიანი: მოქუშა ლამაზად შეყრილი ვრძელი წარბები. განლინებულთა ვმზერდი მას. დიდი ბედნიერებაა, ოდეს ხედავ ქალს, რომელიც საკუთარ ბედად გვევლინება; კიდევ უფრო დიდია ბედნიერება, ოდეს მის გამოხედვიდან ტყობილობ, რომ მას მოსწონხარ. ვიგრძენი, ამ გოგონას მოვეწონე. ალბათ ჩემსა ურიდმა მზერამ ცოტადენ თუ არა ლამაზი: იგი წამოდვა თითქო გამუგუნებულთა და ზანტად გაეშურა ქალთა სხვა ჯგუფისაკენ. მისმა კენარმა ტანმა გამომწვევ: დოდინით კიდევ უფრო გამიხელა სურვა. ახალგაზრდამ მოიხსნა თავსაფარი: სქელი მოკლედ შეჭრილი თმები მისი დვიოდნენ მზის ტალღებში ვით მუქმეწამული კაყები რიყენზე, მონატრებულთა ვმზერდი მას და მის ჩრდილს: თავიდან ფეხებამდე ლივლივებდა იგი. გარდა მომხიბვლელისა, ვგრძნობდი არავის შეტომხნევია ჩემი სურვილავსილი მზერა. ტკბილი იყო ეს და საიდუმლო. უეცრად მხარზე ხელდარტყმა ვიგზნე. მოვიხედე: მეგელიკა იყო. პირი გაეხსნა ღიმილით, მოუჩანდა თეთრი მაგარი კბილები. ჩამჩურჩულა ახლისებით: „მოგწონს?“ თავი დავლუნე დარცხენილმა. ბიძაშვილიაო ჩემი, დაუმატა მან.

**

გავიდა რამოდენიმე დღე. ჩემი თანამგზავრნი დაბრუნდნენ. თან მოიტანეს მრავალი გადღებული სურათი.

ვეშვებოდი თანდათან ხევსურების ყოფაში. ერთ დღეს მეგელიკა და მე გავემგზავრეთ ჯიხვებზე სანადიროდ. მზის ჩასვლისას ვმეტიან ჯიხვები მიუვალ კლდეთა ფენებიდან ალპიურ საძოვრებზე და დილადად სძოვენ ნოყიერ ზაღასს. ფეხის წვერებზე „სამწვერა“ ავიკარით, რათა ვაჭირვებისას ზრამის გნდეზე თავი შეგვემაგრებინა. ბრუდამხვევი იყო ვიწრო ბილიკი ნაპრალებზე. მივიდიოდით მალლა და მალლა დაძაბულნი მთელი სხეულით. საცა გზა წყდებოდა, იქ ხანჯლით ვკვეთდით კლდეზე საზიჯარს, სანამ ახალ გზას მოვნახავდით. ერთი უეცარი ასხლეთა საბჯენი ქვისა და ჩვენ ბეწვზე ვეკიდეთ. მეგელიკასთვის ადვილი სავალი იყო ეს წავარნა, ჩემთვის კი მტრად საძნელო. გულობილი დაცივით მამხნეებდა იგი. ერთ კონცხზე მუქ მოლოურჯო ფრინველი დავინახეთ თეთროზოლუბიანი, რომელიც ჯიხვთა მთვობრად ითვლებდა. მე პირველად ვიხილე ეს უცხო ფრინველი, რომელსაც ქართველნი შურთხს იქმან.

ჯიხვი არსად სჩანდა. ბოლოს გამოჩნდა ერთი ნუკრი, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა. მყისვე უხვეთ გზას და ამოვემალეთ კლდის ქრთ მონახეთქს. მოგვკრა თვალი თუ არა, ჯიხვი ისეთი სიმარდით გამოვიმურა, რომ — დავგრჩენილიყავთ ბილიკზე — დავცეცაკებოდა და ხრამში გადავიჩენებოდით. ჩვენ კარგად ვიანგარიშეთ. ორი გასროლა და ჯიხვი დაეცა. მეგელიკას ტყვია მოხვდა მას. წამოვიღეთ დაკოდილი ლამაზი ნადირი. ტყავი მეგელიკას ეკუთვნოდა, რადგან მისმა გასროლამ აჯობა ჩემსას. ხორცი კი ორივეს გვერებოდა, ხოლო რქები სალოცავისთვის უნდა შეგვეწირა. ყველაფერი ეს — ხევსურთა ნადირობის წესით.

დაებრუნდით უკან. მეგელიკა ხარობდა უზომოდ: ხუმრობდა, იცინოდა, ჰყვებოდა ამბებს. ჩემში კი ლამაზი გოგონას სახე იჭრებოდა მძაფრად. გახსენებისას სახის მეტყველებაც მეტყველებოდა ალბათ. ნადირის ალლოთი მიმიხვდა მეგელიკა გულნადებს.

„მე ვიცი, ვიხედავ ფიქრობ“, ღიმილით ჩამაწვეთა მან.

„ვიხედ?“ შევეკითხე განცვიფრებული.

„მზექალაზე!“

ეს იყო სახელი ნატრულისა.

„მართალს არ ვუბნობ?“ მეგელიკა ისევ იღიმებოდა.

მე არა მითქვამს რა.



„ამალამ გაეცნობი მას“, წამჩურჩულა მან.

„როგორ? ამალამ?“ ვეკითხებოდით გაკვირვებულად.

ესლა მგელიკა ჯდუმდა. იგი იღიმებოდა მხოლოდ.

გზაზე გრივალში წამოგვეწია. ერთს გვირბამო შევაფარეთ თავი. დიდი დეღამა წამოვიდა: ფართო მარაოებით ესხმებოდა იგი არეს. მომხიბლველი სურათი გადაიშალა ჩვენ წინ. წვიმის წვეთები ჩაკოს სიმსხონი იყვნენ. ველური ატენილობა ელემენტთა ახმაურდა ჯადოსნურ ორკესტრით. მდგონა, თითქო კოსმიური სიმფონია ზმინანდებოდა ირგვლივ. მგელიკა სიხარულ-

ლით იყო აყვანილი. თეთროლილისფერი ზოლებით სერადენენ ელვანი დეღამით შებნელებულ მიდამოს. უეცრად ჩვენს ახლო მხეხი დაეცა ფიჭვის ხეს. ხეს წამსვე უცხო ალი მოედო. ვიგზენ მთელი ტანით რაღაც უაღრესად აღმტაცებელი. მგელიკას თვალები ელვარებდნენ. ვხედავდით სიცოცხლეს: ბრმას, - უცოდვოს, პირველსუნთქვიანს, ძლევაშიასილს. ფიჭვის ხე ცეცხლის ალში იყო გახვეული. ჩვენი გულებიც ხარობდნენ აღმოკიდებულნი. ძმადნაფიცნი გადავხვებით ერთიმეორეს.

გრივალ რობაქიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ინსო · ძრისტვს მოძღვრება და ძართველი ერი

წერილი მეშვიდე (დასასრული)

ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ აბბაზის იმპერიის მართველობაში და ჯარის ხელმძღვანელობაში. არა ერთი ქართველი იყო მისი უახლოესი თანამშრომელი და მრჩეველი. ფარსის ამირად, აბბაზმა, დინასტიის ყველაზე მეტად დამსახურებულნი, მისი ყოლარი - ალაზი, ანუ ბელადი მონებისა*) სისხლით ქართველი - ალაჰვერდი - ხან გაამწესა. შაჰმა მასვე დააუვალა მუღმივი ჯარისა და არტილერიის მოწყობა. ალაჰვერდის ქართული გვარა უნდოდა იყო. იგი, უმბარი სარდალსა, დიდი ადმინისტრატორი, დიპლომატი. არა ნაკლებ სიოლსა თამაშობდნენ ალაჰვერდის ორი შვილი. განსაკუთრებით უმფროსი, ემამ ყული - ხანი, და დავუთ-ბეგი, რომელიც, შემდეგში, აბბაზის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ მეფე თეიმურაზს მიუდგა.

თვალსაჩინო ფაქტენა ჰქონდა და აბბაზი დიდად აფასებდა კუნსტენდილი - მირზას. კუნსტენდილი, ანუ კონსტანტინე, შვილი კახეთის მეფის ალექსანდრესი, შაჰის კარზედ იყო აღზრდილი და გამუსულმანებული.

აბბაზმა შირვანის პროვინცია კუნსტენდილს მიუთვისა. კუნსტენდილს, შირვანიდგან, თურქებში ძალით უნდა გაედევნა და იქ გაბატონებულიყო. მას ევალებოდა აგრეთვე, მირ - ხანი თავის, ოსმალ - უზბეკების მიერ შელახულ უფლებებში აღედგინა. კუნსტენდილს მისი მამა ალექსანდრე უნდა დაჰხმარებოდა.

„ეს ქართველი პრინციო, ამბობს ბელლანი, მამსთან ერთად, თავრიზიდგან გაემგზავრა. მათ დიდი რიცხვი ამირებისა ახლდა“.

ხოლო ალექსანდრე, დაბრუნდა რა სამშობლოში, შეთანხმებით თავის მეორე შვილთან, გიორგისთან, შაჰს გაუდგა. ერთი მკაცრი კამათის დროს, კუნსტენდილმა თავისი ძმა, გიორგი, მოჰკლა. ყიზილბაშებმა ამით ისერგებლესა და ალექსანდრეც მოჰკლეს. ტახტის ერთად - ერთ შემკვიდრეთ კუნსტენდილი იყო და გაამეფა.

მან თავის ყიზილბაშთა ჯარს ათი - ათასი ქართველი მიუმატა და შირვანისაკენ გაემგზავრა. შაკასთან ოსმალები დაამარცხა და მირ - ხანს უფლებები აღუდგინა. შემდეგ შემახის ასაღებად გაილაშქრა.

ქართველები აუჯანყდნენ. „კუნსტენდილი თუმცა ქართველი პრინცი იყო, ამბობს ბელლანი, ხოლო, რჯულით მუსულმანი და ამიტომ, ქართველთა შეგებაში, მოალატე რჯულისა და ერისა“.

ერთს ღამეს ქართველები, კონსტანტინეს კარავში შეიჭრნენ, იქ ერთი ქაბუკი, რომელიც თავისი დიდი სილამაზით კონსტანტინეს ზედმიწევნითა ჰგავდა, მოჰკლეს, გაანთავისუფლეს კონსტანტინეს მიერ წარტაცებული შვილები გიორგისა და საქართველოსაკენ გაემგზავრნენ. დაჰკრეს განგაში სპარელებმა. შეკრიბეს ყიზილბაშნი, ქართველებს უკან დაედევნენ და მიეწივნენ.

„შაგრამ, რისხვა ქართველთა, ამბობს ბელლანი, იმდენად ძლიერი იყო, რომ, როდესაც კუნსტენდილს მათ გადაჭრით განუცხადეს: — არასოდეს

*) აბბაზის პირადი მცველი ჯარი, შემდგარი ქართველ ტყვეებიდგან, აჰ ჯარს ეწოდებოდა: პირადი კეთილშობილი ჯარი მონათა.

მუსულმანს ჩვენ შეფედ არ ვიცნობთო, — კუსტენდილმა ვერა გაუბედა რა და უკუ იქცა“.

უქართველებით შემახის აღება შეუძლებელი გახდა. კონსტანტინე დიდად გამბედავი და შეუპოვარი ვაჟაკი იყო. ალბად ქართველების ძალით დამორჩილების იმედი არა ჰქონდა, რომ ესე ადვილად შეუტრივდა ბედსა. შეშინებულნი ყიზილბაშნი გაიქცნენ.

კახელებმა აბბაზს რწმუნებულნი გაუგზავნეს და სთხოვედნენ მათ მეფედ დავითისა და ქეთევანის უვილი, თეიმურაზი, დაემტკიცებინა.

შაჰს კახეთისა და ქართლის ახალი აჯანყების დიდი შიში ჰქონდა და, დასამშვიდებლად კახელთა, აღუთქვა მათ, რომ სურვილს მოკლე ხანში აღუსრულებდა.

კუსტენდილს კი შეუთვალა: კახეთის აჯანყება სახიფათოა, სიფრთხილეა საჭირო. შემდეგ ში, მე თვითონ ჩავიყვან კახეთში და ტახტზედ დაგსვამო.

ვიდრე ამ ცნობას მიიღებდა, კონსტანტინემ შეპკრიბა მრავალ რიცხოვანი ბრძოები მცარცველთა, მკვლეელთა და ავაზაკთა და კახეთში შეიჭრა.

ქეთევან დედოფალმა გიორგის შვილებით და კახელთა მოზრდილი ნაწილით, თავი მთებს შეაფარა.

ქეთევანს შაჰის გამამხნევებელი პასუხი მიუვიდა. ვახიზნული ქართველები ზემავისაკენ გაეშურნენ. ღვინობის თვის თვრამეტს რიცხვს, კონსტანტინე თავისი ჯარით წინ გადაეეღობა.

„უთარალო ქართველებმა დიდი ვაჟაკობა გამოიჩინესო, მოგვითხოვს ბელოანი, ხოლო იძულებულ იყვნენ უკან დაეხიათ. კუსტენდილმა ახალი იერიში მიიტანა. ქართველებმა იერიშითვე უპასუხეს და კუსტენდილ სასიკვდილოდ დაჰკოლეს... რიცხვით ქართველებზე ბევრად ძლიერი და მშვენივრად შეიარაღებულნი ყიზილბაშნი შეკრინენ, აღორიენენ, გაიქცნენ და პანიკურ სრბოლაში, იარაღსაც კი ჰყრიდნენ... სიკვდილს მცირედი რიცხვი გადასურა...“

გავიდა დრო. შაჰ-აბბაზმა, ერთ დღეს, ლუარსაბი და თეიმურაზი სანადიროთ დაჰპატიჟა. ქართველთა მეფენი არ ეახლნენ. ვანრისხდა აბბაზი. დასამშვიდებლად მას ქართველთა „დელეგაცია“, ქეთევან-დედოფლის მეთაურობით, ეახლა. „მოხიბლული როგორც ყოველთვის ქართველთა ზნე-ჩვეულებით, ზრდილობით და დიპლომატიით, გვეუბნება ბელოანი, შაჰი მზად იყო ქართველებს შეპკრივებოდა“—მაგრამ, თეიმურაზის ერთმა ნათესავმა აბბაზს წერილობითი

საბუთი აჩვენა, რომლითაც ცხადათა სჩანდა, რომ თეიმურაზის მიზანი კვლავ ისევე აჯანყება იყო. შაჰმა ქეთევანი და მისი ამალა, 1614 წლის 24 მარტს, საპყრობილეში ჩაჰკეტა და ქიზიყს შეესია. შემდეგ, თავისი ჯარი კახეთის ყველა კუთხეს წარჰგზავნა და თუ სადმე კიდევ ეკლესია არსებობდა, მეჩეთებად აქცია. თეიმურაზი აჯანყდა და სპარსთა „გარნიზონები“ შემუსრა. ამ ახალი აჯანყების გასასრესად, აბბაზმა ალი-ყული შამლეს 15.000 მეზრდილი მისცა. ალი-ყული თბილისში შევიდა, სადაც სპარსთა ჯარი ბანაკობდა. როდესაც მან (ალი-ყოლიმ), მოგვიტხოვს ბელოანი, თეიმურაზის წინააღმდეგ, რომლისა ძალა 6.000 მხედარს არ აღემატებოდა, გაილაშქრა... ქართველთა ცენოზნებმა შეუტიეს და დაამარცხეს. შიშით შეპყრობილმა სპარსელებმა თბილისისაკენ გაჰკურცხლეს. ქართველები ფენ და ფენ მიჰყენენ და დაუნდობლივ ელეტდნენ. ეს იყო ირანელთა საშინელი დამარცხება... მთელი საომარი მასალა დაჰკარგეს. ალი-ყოლი-ხანი, სიკვდილსა და ტყვეობას გადაირჩინილ მცირე ჯარით, განჯას შეეფარა“. (*...Ce fut une défaite sanglante pour les Iraniens, qui abandonnèrent leur matériel...» — Bellan*).

შაჰ-აბბაზი არა მარტო მრისხანე და სასტიკი დესპოტი იყო, არამედ კიდევ დიდად პატივმოყვარე და ამპარტავანი. ქართველების მიერ ასეთს, მისთვის ჯერ არ ცნობილ, დამარცხებას აბბაზი ვერ შეუტრივებოდა.

შოლოდ კახეთის სრულს განადგურებასა და კახეთიდან კახელთა ხსენების სამუდამოდ განქრობას შეეძლო აბბაზის დამცირებელი პრესტიჟის აღდგენა. ამ მიზნით, აბბაზი, 1616 წელს, დიდი ჯარით, თბილისში შევიდა. ქართლის მეფედ, ბაგრატი განაწესა. შემდეგ კახეთში შეიჭრა და ქვეყანა და მცხოვრებნი შემუსრა. ათი ათასმა ოჯახმა ძლიეს მოასწრო და ალაზანის გადაღმა მდებარე მთებში გაიხიზნა. შაჰმა მათ ამოსაყოფტად ჯარი დაადგენა. ქართველნი თავგანწირვით იბრძოდნენ. „სპარსთა ჯარის დიდი რიცხვი დახოცეს“ (ბელოანი). სპარსელებმა გაიმარჯვეს: 60.000 ქართველი მოსაგეს და 130.000 სული სპარსეთში გადაასახლეს.

იმავე 1616 წელს, სპარსეთს 100.000 ოსმალთა მხედარი შეესია. შაჰის ჯარს ემემ-ყოლი-ხანი (უნდილადე) ხელმძღვანელობდა და ისევე, როგორც 1610 წელს, თურქნი სასტიკად დაამარცხა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, აბბაზმა კახეთს, სადაც თეიმურაზი აჯანყებდას განაგრძობდა, ახალი ჯარი შეუსია. სპარსელებს ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერ გაუჭირდათ.

მტყრმა, ათი ათასზე მეტი ქართველი ტყვედ წაიყვანა. დახოცილთა სრაოდენობა ამ რიცხვს ბევრად აღემატებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, ყიზილბაშნი კიდევ შეიჭრნენ კახეთში და 30.000 ოჯახი მოსწყვიტეს სამშობლოსა და სპარსეთში გადაასახლეს.

ამ „კამპანიის“ დროსაო, სწერს ბელლანი, 40.000-ზე მეტი კახელი ამოუკლიტეს: თითქმის ყველა, ვინც კი უწინდელ რბევებსა და გადასახლებებს გადაუარჩნენ“ -ო.

1624 წელს, ტყვედ მყოფ და ნაწამებ ქეთევან-დედოფალს, ყული - ხანი (უნდელაძე) ევედრებოდა — ფარგნულად მაინც აღიარე ისლამი და თავი სიკვდილისაგან იხსენიო. ქეთევანმა არ მოისურვა და ბევრი წამების შემდეგ მოკლულ იქმნა.*)

კახეთი (და არც ქართლი), მაინც არ დამშვიდდა, აბბაზს არ დაჰმორჩილდა, სრულეთისა და თავისუფლებისათვის თავდადებით იბრძოდა.

1625 წელს, აბბაზმა, თავისი უდიდესი სპასალარის ყარაჩაყაის ხელმძღვანელობით, საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარი გაჰგზავნა. მას თან დიდი - მოურავი გიორგი სააკაძე გაყოლი. ყარაჩაყაის შაჰი მხოლოდ დიდი ომების როგორც მგვალითად, ოსმალეთის წინააღმდეგ, წარმოებას მიანდობდა ხოლმე. ესაღია თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბბაზისათვის, ქართლ - კახეთის საბოლოო დამორჩილებასა. მისი ვეგემები შორს მიდიოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში უდავო გაბატონების შემდეგ, მას ჰსურდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა.

ყარაჩაყაიმ სიკვდიერეს მიჰპართა. სიმონ მეფის საქორწილოდ ჩინებული ზეიმი გამართა. ზეიმის შემდეგ კახნი მიიწვია, ვითომდა მამი-აჩუყის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. როდესაც 10.000-მა შეიარაღებულმა კახმა თავი მოაყარა, ყარაჩაყაიმ მათ განუცხადა: „მე, ბაში - აჩუყის დასამარცხებლად ყიზილბაშნიც მეყოფიანო“ და კახელებს სთხოვა, მათი იარაღი მისი ჯარებისათ-

*) ქეთევანის წამებისა და სიკვდილის შესახებ ბევრი ცნობები, შემუშავებისა და მოხსენებების სახით, მოიპოვებინა ევროპელთა მწერლობაში. ტამარატი მდიდარ მასალას გვაძლევს. ზ. ავალი-შვილის „...წამება ქეთევან დედოფლისა“, ქართველთა ემიგრაციაში ცნობილია.

ვის დაელოთ. სურვილი მეთესრულეს. ყარაჩაყაიმ განიარაღებულ კახელებს ჯარი მიუსია და გააულოტინა. ქართლი აჯანყდა. გიორგი სააკაძემ ყარაჩაყაი და სპარსთა მეორე დიდი სპასალარი, თავისი ხელით დაჰხოცა, აჯანყებულთა მეთაურობა თვით იკისრა და აბბაზის ჯარი მთლად შემუსრა. „სიმონ მეფე შემინდა: მუსულმანი ვარ და მეც მომკლავენო“ (ბელლანი), გაიქცა და თბილისში მიიშალა. „ეს აჯანყება, რომელმაც აბბაზის ორი უკეთესი მხედარი - მთავარი იმსხვერპლა... არა ჩვეულებრივი ძალისა იყო“ (ბელლანი): ქართველები თბილისის ირგვლივ დაბანაკდნენ. შაჰ - აბბაზმა მთელი თავისი თავისუფალი სამხედრო ძალები თბილისს მიაშველა.

1625 წლის პირველ მკათათვეს, დიდი ბრძოლა მოხდა. „ეს ბრძოლა ქართველთა იერიშით დაიწყო. იზა - ხანის ძალები მოჰსრისეს და, ფრთის შემოვლით, ქართველები ირანელთა სამხედრო საწყობებში შეიჭრნენ და გასძარცვეს“ (ბელლანი).

გამარჯვება ქართველთა ხელთ იყო. ჩვენდა საუბედუროდ, დამარცხებულ იზა - ხანს, მოულოდნელად, შაჰ - ხანდეს ჯარი მიეცლინა... ქართველები დამარცხდნენ. დამარცხდა ეს დიდი ეროვნული აჯანყებაცა. ხოლო საქართველო მაინც არ დამშვიდდა.

„აბბაზს, სიკვდილამდე (1629) საქართველოდან მუდამ საშიში ამბები მისდიოდა. («Les nouvelles inquiétantes lui parvenaient toujours de la Géorgie» — Bellan).

მეფეთა - მეფე აბბაზი ვარდაიცვალა 16 თებერვალს 1629 წ. მისი სიტყვიერად დატოვებული პოლიტიკური ანდერძი დასწერეს დიდმა ვიზირმა, სულთანებმა, შაჰებმა, ხანებმა და სხვა ამირებმა და გაუგზავნეს ხოსრო - მირზას, ბაგრატის (ქართველი) ძმას, საქართველოს ყოფილ ვალის.

ბელლანის წიგნიდან შემდეგი უნდა დავსკვნათ:

- 1) სპარსთა ეროვნების ჩამოყალიბება, უმთავრესად, ქართველ ელემენტების ღვაწლით;
- 2) შაჰ - აბბაზის ძლიერება შეიქმნა ქართველის, ალაჰვერდის - ხანის, უნდილაძის, უახლოესი თანამშრომლობით;
- 3) აბბაზის ანდერძს „აკანონებს“ ქართველი, ხოსრო - მირზა ბაგრატიონი.

4) სპარსეთის იმპერია თავისუფალი ასპარეზი იყო ქართველთა „ამბიციების“ დასაკმაყოფილებლად. (და ქართველები ხომ „ამბიციებით“ მდიდარნი ვართ!) ეს მოვლენა ძლიერ ასუ-

მთვარის ღმერთი არმაზი და ლეონტი მროველის თხზულება

ივ. ჯავახიშვილმა ცხად ყო მიზნით-შემოუღებელად, რომ ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ზეპირ-გადმოცემაში ჩარჩენილი კულტი წ. გიორგისა წარმოადგენს ძველ-წარმართულს, ღმერთად მიჩნეულის მთვარის კულტს და თავყანისცემას*). საქართველოში ბევრგან დღემდე შემონახულს მთვარის დღესასწაულებს ხალხი ასრულებს ერთობ დამე ანუ მწუხრს. მათ საზენიმოდ განკუთვნილი იმყოფება წლის სხვა და სხვა დრო-ჟამი, უმთავრესად-კი თვე აგვისტო. მაგალითად სოფელ აწყურს თეთრგორგობად და სოფელ არბოში გერისთობად. ამ დღესასწაულებს უქმობენ მთვარის მეთრეფების შესატყვისად ახალი მთვარიდან მოკიდებული მცხრალ მთვარემდის, ი. ი. 7-8, 14-15, 21-22, 28-29 აგვისტოს ან რომელიმე სხვა თვეში, როცა წლისა და თვეების აღრიცხვა დამყარებულია მთვარის სრბაზე.

ქართველთა ზნე-ჩვეულებამ და თქმულებათა რიგმა ნათელ ყო მსგავსადვე, რომ წარმართ ქართველთა მთავარ ღვთაებად მთვარე ითვლებოდა და მისი თავყანისცემა ყველა სხვა ღმერთთა მსახურებას აღემატებოდა.

ახლა დაუპირდაპირით ეს უტყუარი მონაცემი ქართულ სამწერლო წყაროთა ცნობებს. ერთი შეხედვით, მთვარის ღვთაებასა და აღმტებულებაზე წარმართ ქართველთა ცნობიერებაში აქ ვერაფერს მონახავთ. როგორც ქართლის მოქცევა, ისე ლ. მროველი ქართველთა მთავარ ღმერთად ასახელებს არმაზის კერძს,

ორმელიც აღმართული იყო არმაზის მსოფლობზე. ხოლო არმაზი, სახელით მაინც, ქართველ მკვლევართა აზრით, შესატყვისი იყო აპურა-მაზდასი, ირანის ღვთაებისა. ამისდა მიხედვით, ერთიმეორის წინააღმდეგობი იყო ორი ქართული გადმოცემა ჩვენ წინაპართა მთვარის ღვთაების ირგვლივ. ამიტომ ან ერთი ცნობა უნდა ყოფილიყო სწორი და ისტორიული, ანდა მეორე. ი. ჯავახიშვილმა, რომელიც უნდობლობით ეპყრობა ზოგიერთ უძველეს ქართულ სამწერლო ძეგლს, პირველობა და უპირატესობა მიანიჭა ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ზეპირ-გადმოცემაში შემონახულ სინამდვილეს და სრულიად უარყო და უკუაგლო ქართლის ცხოვრების და ქართლის მოქცევის ნათქვამი. მიხ. წერეთელმა სცადა გაემართლებოდა და პირნათლად გამოეყვანა „მრავალჯერ და მრავალთავიან განქიქებული ქართული წყაროები“**), მთარ ამოდ, ი. ჯავახიშვილმა მისი „გონება მახვილიდ კვლევა-ძიება“ თითქმის არ იკაიკარა და ისევე ძველი სიფრთხილე ამჯობინა.

რაკი ქართული ორ წყაროთა და ორ ცნობათა ერთმანეთთან შეჯერებამ გზა ვერ გაიკვლია, ამიტომ მთელი ქართული მითოლოგია და წარმართული სარწმუნოება, რაღაც გაურკვეველობისა და დაუმთავრებლობის ელფერს ატარებდა. ის არ იყო ჩამოყალიბებული, ერთ მთლიან მსოფლომხედველობად ჩამოსხმული სისტემა, როგორც მაგალითად წარმართ გერმანელთა და ბერძენ-რომაელთა მითოლოგია. მა-

*) ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი 1928 წ., გვ. 45 და შემდ.

**) ხეთის ქვეყანა, კოსტანტინეპოლი 1924 წ., გვ. 104.

სტებდა საქართველოს თავისუფლებასათვის მებრძოლ ძალებსა.

მიუხედავად ამისა, საქართველოსათვის განსაცდელით და დაუსრულებელი ბრძოლებით აღსავსე, ხანგრძლივი მძევობა დიდი შაჰი-აბბაზისა ისე დასრულდა, რომ ქართველობა აბბაზს არ დაემორჩილა და ის, რაც ქართველ ერს წმიდათა-წმიდად მიიჩნდა, დაცვა უთვალავი სხვა-რგვლის გაღებით.

კახეთი მთლად გაჰსრისეს: მცხოვრებნი ან გაჟლიტეს ან ასეულ-ათასობით, სპარსეთში გადაასახლეს.

ქართლი მრავალჯერ გადალევს; მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრეს.

დასავლეთ საქართველოს ოსმალი აწამებდა.

და აი ამ საკვირველმა თაობამ ქართველთა, ქედი მაინც არ მოიხარა და სული ეროვნული რჯულისა და თავისუფლებისა შემდეგ თაობებს გვიანდერძა. ქართველი ერი, მთლიანი როგორც არასოდეს, დღესაც არსებობს, და იარსებებს ვიდრე ამ ანდერძს არ უღალატებს.



გრამ აქაც, პოეტის არ იყოს „უეცრად ბნელი განათლდა, ცა გაიხსნა რა, ფაილო კარი“.

გერმანელმა ასსიროლოგმა A. Gölze-მ გამოსცა წყება ტექსტებისა: *Hattusilis. Der Bericht über seine Thronbesteigung...* Leipzig 1825, და *Neue Bruchstücke zum grossen Texte des Hattusilis*, Leipzig 1930. ამ ტექსტებში დასახელებულია ვინმე მეფის ძე *id SIN-d Uas*. ეს სახელი თეოფორულია, ე. ი. „ღმერთმოსილი“. ამ ტექსტებში იგი გამოსახულია ასურული იდეოგრაფიით *SIN*, რომელსაც ერთვის ხეთური *as*. ხოლო ოთხჯერ იგივე სახელი წარმოდგენილია არა ასურული იდეოგრაფიით, არამედ ხეთური ლურსმული ნიშნით: *Arma-d U-as*. მაშასადამე, ხეთური *Arma* (არმა) უსათუოდ შესატყვისი უნდა იყოს ასურული *SIN*-ისა, ე. ი. როგორც *სინ*-ი ნიშნავს **მთვარეს**, ისე **არმაც** უნდა ნიშნავდეს **მთვარეს**. ამასვე ადასტურებს თვითონ *Gölze*. იგი ამბობს: ეს „საგულისხმო ვარიანტი *Arma-d U*, მთავარი *id-SIN-d U*-ისა, ფრიად მნიშვნელოვანია ხეთური მთვარის ღმერთის სახელის წასაკითხავად“ *). მაშ, რაკი თვითონ ხეთელებმა შესაძლებლად სცნეს *სინის* მაგიერ ეზარათ **არმა**. ამიტომ ხეთური არმა იგივე სემიოტიკი სინი უნდა იყოს.

ბევრი სახელია არმა-დან წარმომდგარი: მაგ. არმაშ, არმას, არმატანშაშ, არმავალის, არმავას და სხვა. ჩვენი აზრით, რასაკვირველია, ქართული **არმა-ზიც** იგივე ხეთური არმა უნდა იყოს.

არმა, როგორც პროტო-ხეთური სახელი მთავრისა, უკვე შესულია ხეთის კლიტერატურის თუ ერის ისტორიაში. მას იხსენიებს, სხვათა შორის, *Forrer*-ი და აგრეთვე *G. Furlani* მის წიგნში: *La religione degli Hittiti Bologna 1936*, გვ. 39-40. ფურლანის ჩვენებით არმა-სგან წარმოებული თეოფორული სახელები, რაც ხეთელებს ეგზომ ჰყვარებათ, იშვიათად გვხვდება ახალ-ხეთურ-შიო, სჩანს მთვარის კულტი ისე გავრცელებული აღარ ყოფილა ახალ ხეთაში, მისი ადგილი სხვა ღვთაებას დაუპყრო. აქედან გამოდის, რომ მთვარე, უითარცა მთავარი და ფრიად პატივცემული ღვთაება, პროტო-ხეთელების უფველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, იმ დროს, როცა ქართველებს შეუთვისებიათ მის სახელთან ერთად, მისი კულტიც.

*) A. I. Baltunov, K voprosu ob Armazi (Vestnik drevnej Istorij, t. 2, 1949), p. 237. Gölze-ის თხზულება ჩემთვის მიუწოდებელი დარჩა.

II

ქართული სამწერლო ძეგლების არმაში ითუ იგივე მთვარეა, ამავე მატეანეში აღწერილი დღესასწაული არმაზისა, წმ. ნინომ რომ იხილა, რაიმენაირად უნდა ემსგავსებოდეს ჯაფახიშვილის მიერ აღწერილს წმ. გიორგის (მთვარის) დღესასწაულებს. ნამდვილად ასეც არის. ორივე წყარო, ლ. მროველი და ნინოს ცხოვრება, აღნიშნავს სამს რამეს: არმაზის დღესასწაული მირიან მეფემ გადაიხადა 1. აგვისტოს თვეში, 2. ფერის-ცვალების დღეს ე. ი. ექვს აგვისტოს და ისიც 3. საღაშოთი. ყველა ეს საუცხოოდ უდგება წმ. გიორგის დღესასწაულებს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

აგვისტოს თვე ცხადად არის მოცემული მატეანეში და არავითარ ექვს არ იწვევს, ასევე ექვსი აგვისტოც, უფრო სწორად, შვიდი აგვისტო. ეს დღე ხომ **ახალი მთვარის** დღეა. დასაწყისში ალბად 7 აგვისტო იყო ამ ზეიმისათვის განკუთვნილი და მხოლოდ შემდეგ, ქრისტიანე მწერლის ხელში მიიზიდა ის ფერისცვალების დღემ. არმაზის დღეობის შესამე ნიშანი, — მისი უქმობა **მწუხრს**, ნათლად არ არის ნაჩვენები წყაროებში, მაგრამ ერთი რამ სრულის სიტყვადით არის იქ ნათქვამი: „ხოლო **დღესა მეორესა** გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს“ **). მაშ, წმ. ნინოს მიერ დამხობილი არმაზის საძებნელად ქართველები გამოსულან არა იმსევე დღეს, რა დღესაც დაეცა და დაიმსხვრა არმაზის კერპი, არამედ მის **მეორე** დღეს. ეს მოვლენა-კი აშკარა და უტყუარი საბუთია იმისა, რომ არმაზის დღეობა დაიწყო ნაშუადღევს ან **საღამოთი**, **ახალი მთვარის გამოჩენის** წამებში.

III

რაკი არმაზს არაფერი საერთო არა აქვს აჭურა-მაზდასთან და ქართული სამატეანო ძეგლები ასეთი სიზუსტით და ზედ-მიწევნილობით გადმოგვცემენ ამ ღვთაების დღესასწაულს, ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ ამ ვითარებიდან.

პირველად, ხეთოლოგიის აღმოჩენა არმაზის შესახებ ხორცს ასხამს და სულ ახალი სახეს აძლევს ქართულ წარმართობას. მხოლოდ ეხლა ხდება შესაძლებელი მისი შესწავლა მეცნიერუ-

**) იხ. ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისა, თბილისი, 1942 წ., გვ. 56.



ლად, დალსება და ჩამოყალიბება სისტემატიურად. არმაზის ვინაობა ახალ შუქს ფენს, სათანადოდ არკვევს და ხსნის თვითონ ქართულ ზნე-ჩვეულებაში დარჩენილს წარმართობის ნიშნებს და ნაშთებს.

მეორედ. არმაზი თუ არც სახელით არის ირანული და არც შინაარსით, საჭიროა გადაიზინჯოს და გადაფასდეს აგრეთვე ჩვენი წარმოდგენა სპარსული ცეცხლის თაყვანისმცემლობის გავლენაზე საქართველოში. ი. ჯავახიშვილი მაზდეიანობის ღრმა გავლენით ხსნის მთავალით იმ მოვლენას, რომ აპოლონ როდელოს (მესამე საუკუნე ქრ. წ.) ცნობით, თუ ამ მეზღაპრის ცნობა მართალია, კოლხები მამა-კაცების გვაგმებს, დასაფლავების გინა დაწვის მაგიერ, ხარის ტყავებში სდებენ და ქალაქის გარეთ ხეებზედ ჩამოაკიდებენ ზოლმყო. ხეცურებასაც დიდ ხანს შერჩენიათ მსგავსი ჩვეულება: ახლად მიცვალებულს ისინი ასვენებდენ ერთი ქვით-კირის კოშკში, სანამ გვამი არ გაიხრწნებოდა. შეიძლება ხეცურთა ჩვეულება მართლა კვალი იყოს არმაკიდების თუ სასანელთა დროის მაზდეიანობისა. ზოლო იგივე არ ითქმის კოლხების ჩვეულებაზე, რომელიც ბევრით წინ უსწრობს არმაკიდების, უფრო-კი სასანელთა ეპოქას და გადადის აქემენიდების ხანაში, ალექსანდრე დიდმა რომ შემუსრა. აქემენიდების სპარსეთში კი ჯერ უცნობი იყო მკვდრების არ-დამარხვა. ამ დროს თვითონ სპარსელებიც-კი მიწაში ასაფლავებდენ მათ მკვდრებს, მოგვების გარდა, რომლებიც მათ მიცვალებულთ ჯერ პირუტყვებს ათრევიანებდენ ზოლმე და მერე მიწაში ჰყრიდენ *). დანარჩენი, ი. ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული ნაშთები მაზდეიანობისა საქართველოში **, თითქმის ყველგან მოიპოვება და არასგზით არ შეიძლება ის გამოგაცხადოთ ცეცხლის მსახურების დამახასიათებელ თვისებად. იგივე ითქმის შემდეგზედაც: თორენში პურის ჩაკვრისას, ქართველი ქალი პირს სულაც არ ეკრავს იმ მიზნით, რომ ცეცხლი არ წაბიწვოს, იგი პირს იკრავს იმიტომ, რომ ნაღვერდლად ქცეული ჰაერის ასუნთქვა თორენდან მისთვის მავნებელია, სულის შემხუთავი, თვარა, როცა იგივე ჭალი კერაზე საჭმელს აკეთებს, გინა ფურნეში პურს აცობს, რატომ მაშინ არ იკრავს პირს?

მართალია, ცეცხლის მსახურება საქმოდ მოღებული იყო იბერიაში, მაგრამ მისი შეჭრა ჩვენში ეკუთვნის სპარსულ არმაკიდების უკანასკნელ ხანას, უმთავრესად-კი სასანელთა ურიდო და მკაცრი მცდელობას.

მესამედ. რადგანაც არმაზი ხეთური ღვთაებაა, საფიქრებელი ხდება, რომ უძველესი ქართველობა საქმოდ დაახლოვებული იყო ხეთელთან, ეგების ნათესაობითაც, და მათგან შემოვიდა არა მარტო არმაზი, არამედ ბევრი სხვა რამაც, უფრო კი მათი პანთეონის ზოგიერთი წევრიც.

მის. წერეთლის გამოკვლევით ხეთიდან, გინა მცირე აზიიდან, არის ჩვენში შემოტანილი, მთხის კულტი, ეგზომ მოფენილი ძველ საქართველოში. მისივე ჩვენებით, ხეთური თუ მცირე აზიური, აფხაზური აჟაპარა ანუ ამახარა (ხეთური იმხარა), ალბად ქართული ტაროხი (ხეთურად Tārō), ზადენი (ხეთურად Sandon, Santas), გაცი ანუ გატი (ბერძნ. ატარ-გატის), გა (იშხარა), აინანა და ნინა ანუ ნანა და სხვა *). ჯავახიშვილის ფიქრით ვობი ეგების ხეთელთა თეშუბია და ჯიბალი — იგივე ჰერმეს - მერკური ვანურ-ლურსმული წარწერებისა; კობალა შეიძლება იყოს კიბელე და თახა ანუ თარხონი არის ხეთელთა ბრძოლის ღმერთი ტარხო გინა ტარხონი, ითრუსებში ტარქენიოდ ცნობილი. ქართული არდადეგი (არდი-დეგი) ჯავახიშვილის აზრით, შესატყვისი უნდა იყოს ქალღური „არდი“, „არდინი“-ისა, მხეს რომ ნიშნავსო. მის. წერეთელიც ასახელებს ურარტელთა სამებას, რომლის გვამნი იყვნენ: „ქალდი“, თეიმზა და არდინი“. ზოლო შემდეგ ვერმანელმა მეცნიერმა ი. ფრიდრიხმა დაამტკიცა, რომ „არდინი“ შემცდარი წაკითხვა იყო, — ურარტულად მხეს ერქვა „შითინი“ (= შივინი“). (იხ. „ბ. ქ.“, 8, 1950, გვ. 25).

ხეთურისა აგრეთვე ქართველების მიერ ჯერ აუხსნელი სახელი თულეფია (მელია-თულეფია). ქართული თულეფია, როგორც სახელწოდებით, ისე შინაარსით, სრული შესატყვისია ხეთური თელეპინუ - სი. თელეპინუ გინა ტელეპინუ იყო ღმერთი წულის - მომატებისა და ზოგად, ნაყოფიერებისა (Furlani, La Religione, იქვე გვ. 82.

*) C. Huart, La Perse antique, Paris 1925, p. 101-102.
**) ქართ. ერის ისტ., იქვე, გვ. 162-163.

*) მ. წერეთელი. ხეთის ქვეყანა, გვ. 77-106.
**) ყოველ შემთხვევაში, მის. წერეთლის გუამანი ქართულ წყაროების ღირსებასა და ხეთიდან შემოსულ პანთეონზე ჩვენში, მართალია გამოდვა.



მეოთხედ. რასთან ლ. მროველს ასეთი ზედმიწევნილობით აქვს აღწერილი არმაზის დღესასწაული მირიან მეფის დროს, ახლად ისმება საკითხი, თუ როდის მოღვაწეობდა მროველი და როდის შეადგინა მან თავისი თხზულება: ქართლის მოქცევა წმ. ნინოს მიერ და მეფეთა ცხოვრება.

ცნობილია ი. ჯავახიშვილის და კ. კეკელიძის აზრი. მათი რწმუნებით ლ. მროველი ეკუთვნის მე-VI საუკუნეს. ეს შეხედულება დრო-მოჭმულად უნა ჩაითვალოს, ნამეტნავად მის შემდეგ, რაც ზემოდ ითქვა. სინამდვილესთან უფრო ახლოსა ნ. მარის არა ერთხელ (უკანასკნელად 1924 წ.) წამოყენებული მტკიცება: მროველის ნაწარმოები, ე. ი. ყველა ის ნაწერები, რომელთაც მას ვაჩვენებთ, მისი შინაარსის, ტერმინოლოგიის, მსოფლმხედველობის და ამბავთა მოცულობის მიხედვით უნდა მიეწეროს მე-VII - VIII საუკუნესო. იგივე მსჯელობა გაიმეორა ინგოროყამ 1949 წ. მან მროველის თხზულება დასახა მე-VIII საუკუნის პირველ ნახევრის შრომად *). მართლა, ვინც ეგულ-დასმით შეისწავლის მროველის შრომებს, მას არ ძალუძს არ დაეთანხმოს ნ. მარს და პ. ინგოროყას. უკვე 1947 წ. (იხ. *Le Muséon* 1947, გვ. 29 - 50), გამოვთქვით ჩვენ იგივე მოსაზრება და საამისოდ მრავალი საბუთიც წამოვაცენეთ. აი ეს უმთავრესი საბუთები, ზოგი რამ ახალის დამატებით:

ცხენოსანის (ცხენზედ მებრძოლის) ნაცვლად მროველი იმუდამ ზმარობს **მხედარს**. მხედა-რი-კი უკვე ეჭვთამე მთაწმინდელის დროს აღარ ნიშნავდა მართო ცხენზედ მებრძოლს, არამედ უფრო მარტივად ჯარის-კაცს. მროველი სულ არ იცნობს ქვეყნის სახელს **აფხაზეთს**: დასავლეთ საქართველოს იგი უწოდებს **ეგრისს**. **ამით მროველი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ი. საბანის ძეს, აზო ტფილელის მარტვილობის აღმწერელს მე-VIII საუკუნეში..** ამ წამებაში დასავლეთ საქართველოს ჰქვიან არა ეგისი, არამედ აფხაზეთი. მერმედ — თვითონ კეკელიძევე აღიარებს, რომ მროველს მისი ისტორიის შეწყობის დროს, ხელთ ჰქონია არა მე-X საუკუნის „მოქცევა ქართლისაჲ“, არამედ ამ ძეგლის ერთი სხვა, უფრო ძველი რედაქცია. მსგავსადვე მროველი არ იცნობს უკვე მე-X საუკუნეში არსებულს **ერისთავთ - ერისთავ** - ს ამირსპასალა=

რის ნაცვლად ზმარობს სპასპეტს, და სპასალარს აძლევს სულ სხვა მნიშვნელობას (იხ. მ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, 1919, გვ. 153). იმავე ნაირად მროველის თხზულებაში ვერ ნახავთ ქართულ **ქორონიკონს**, რომელიც ზმარებაში ყოფილა მე-IX საუკუნიდან მაინც (უძველესია **მა** — 821 კორიდეთის სახარებისა). ლ. მროველი იყენებს თავის თხზულებაში არა მზის - წელს, არამედ **მთვარის გინა მარტის - წელს**. ეს წელით-აღრიცხვა დამყარებულია მთვარის მიმოქცევაზე და და უძველესად ითვლებოდა ყველა სხვა წელით-აღრიცხვათა შორის. მთვარის = წელიწადს ეწოდება ასევე მარტის - წელი იმიტომ, რომ აქ წელიწადი იწყება **მარტის** თვით. ამ ანგარიშზე და მყარებული მსგ. რომსლეთა თვითა სახელებიც: სებტემბერი, ოკტომბერი და სხვა. იულიუს კეისარმა წლის დასაწყისი მარტიდან გადაიტანა **იანვარზე**, ბიზანტიელებმა ც-კი სექტემბერი დასახეს წლის დამდეგად. ამ რიგად მთელ საქრისტიანოში, თუ არ ვცდები, არსად არ იხმარებოდა მარტის წელიწადი, და თუ ქართველებმა იგი მაინც შეირჩარჩუნეს, ეს ბრწყინვალე და უდავო საბუთია ამ ჩვეულების სიძველისა ჩვენში და არა ნაკლებ მთვარის კულტის ძლიერი კვალ - დაჩენილობისა. ამასთან ერთად ლ. მროველის მიერ აღნიშნული საზღვრები ქართლისა, სრულიად ეთანხმება სომხურს უსახელო ეეოგრაფიაში მოცემულს ქართლის საზღვრებს; ეს ეეოგრაფია - კი შედგენილია არა უგვიანეს მე-VIII საუკუნისა. ლ. მროველი რომ მოღვაწე ყოფილიყო მე - XI საუკუნისა და არა მე-VII - VIII - სი, მას არ შეეძლო დასავლეთ საქართველოში არ აღენიშნა ერთი თუ ორი დიდი ქალაქი მაინც: მაგალითად ქუთაისი, ჭყონდიდი, ზოფი, დრანდი, ბიჭვინტა და სხვა. ზოლო ამ მხრივ რას წარმოადგენს მისი ისტორიის? **სრულს tabula rasa**-ს.

ყველა ამ სიძველეს კარგად გრძობს კ. კეკელიძე და მის დასაძლევად ასახელებს „რალაქ ძველს ისტორიულ ნაშრომს“, შედგენილს მე-VII - VIII საუკუნეში, რაც მროველს „მექანიკურად ჩაუტკერება“ მის ნაწარმოებშიო. ეს „რალაქ ძველი ისტორიული ნაშრომი“, როგორც აგრეთვე იერიგოლ დაკონის ქართლის მოქცევა. ეჭვი არ უნდა, „დამყარებულია მოსე ხორენელის სახელით ცნობილს ისტორიაზეთ“. მსგრამ ვიდრე მოსე ხორენელი მიჩნეული იყო მე-VII საუკუნის პირველ ნახევრის მწერლად, მისი მოჩანჩალა გრიგოლ დიკონიც ითვლებოდა მე-VII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორად.

*) Baltunof, K voprosu ob Armazi, იქვე, გვ. 229.

წმინდა ნინოს

I

ნინო წმიდაო, ამ შენს დღეობას
ვაქებთ, გადიდებთ ივერის ძენი;
შენი ნაღვალის საღვთო მოძღვრებას
მარად იგონებსა გონება ჩვენი.

გიხმობთ ქართველნი, მოგვხედენ ზეცით,
კვალად მოგვავეუ სწავლა დიადი;
როგორც წარსულში აწ განგვიბრწყინე
გზა ცხოვრებისა გვიძს რა წყვილიადი.

ხანი დაგვიდგა შავი და ძნელი...
დავიქააქსენით, ივართ დაქრდომილნი;
დავკარგეთ ბინა — ჩვენი მამული —,
თავისუფლების დრონიცა ტკბილნი.

მოსავთა შენთა ტანჯვა-ვაების
აწ რაკი ვესმის ხანგრძლივი ზარი,
გვექმენ დამცველად, გვაშორე მტერი
ჩვენი ცრემლ-სისხლით გაუმძაღარი.

ძველებრ კვლავ მოდი ქადაგად ჩვენში,
გარე-მოცული გაჰფანტე ბნელი;
დღეს სხვა არმაზის, კერპის ბოროტის,
შენგნით შემესვრა არ არის ძნელი.

II

ნინო წმიდაო, ამ შენს დღეობას,
შენდა აღვაგენთ ლოცვას ცრემლოვანს;
იმედი სრული შენვედ დაგვიძის,
გვრწამს, განგვიახლებ ბედსა ნათლოვანს.

მარად რა შენი წმინდა ხსენება
სევდას გვიფანტავს, გვაძლევს სიხარულს;
აწ დღეს მოსავნი ვაქებთ, გადიდებთ,
მოგიძღვნი ჩვენსა ხოტბას, სიყვარულს.

ნუ დაგვიშურებ რასაც ეთხოვეთ გრძნობით:
ქართველი ერი აღდგეს, განცხოვლდეს;
შენი მოძღვრების და განათლების
წარსული დიდი კვლავ განუახლდეს.

ვიდრე ივერი სოფლად ჰგებდეს,
ვიდრე ცხოვრობდეს ერი ქართველი,
შენი მადლითვე უვიწყარ იყოს
შენი დიდება, შენი სახელი!

ნინო წმიდაო, უცხოეთს მყოფნი
ვიდრე შეგვკრებდე შენს ტაძარს შინა,
მანამდის მწირნი, შენნი მოსავნი
ცრემლსა და დაფრქვევით შენს ზატის წინა!

მ. ს. შალვა ვარდიც
14 იანვარი 1951 წ. ლიბანის მთა.

ამიერიდან აქ დავსახლდები

ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურიის;
სტუმარს, მოყვარულს აქვე დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.

ვივლი ბაშლიყით თავდასხურული,
ვითომც წინაბარს უსახსოვარია;
ვიცხოვრებ როგორც ცლები გურული,
როგორც ძიმითელ კაცს უცხოვრია.

მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ იმერეთს:
გეგუთს, ვარციხეს აღოსუბანსა;
ოქროს ბავშვობას, სიწმირებს, სიმღერებს,
ყრმობას, ოცნებებს თავისუფალსა.

ოდიშს რა ვუყო, ზღვისფერ ჭალაკებს...
ისიც მკვიდრია, ისიც ჩემია...
ზუგდიდს, სალიბინოს, რუხს, ნოქალაქევს
გავცილვარ, — სული იქ დამჩინია.

წინ გამფენია, ვით აბრეშუმი,
ტყეთა შრიალში, მთების ალერსში
ტკბილი ქვეყანა — რაჭა-ლეჩხუმი,
შქმერი, ორბელი, ნაკურალეში.

იმ მთებს რა ვუთხრა, ცას შეჭიდებულს,
გაუთავებელ ზვრებს და მალღარებს...
კახეთს რა ვუყო, კახეთს დიდებულს,
დიდი ალაზნის ცვრიან ბაღსარებს.

ოდეს მ. ხორენელი მე-VII საუკუნიდან გად-
მოიყვანეს მე-VIII საუკუნეში, გრიგოლ დია-
კონიც მასთან გადმოაყოლეს. ახლა კი ყველა
ევროპელი მკვლევარი, უცხო თუ სომეხი, მოსე
ხორენელს ერთხმად ათავსებს მეცხრე საუკუ-
ნეში. და ვნახით, რა ბედი ეწევა საბრალლო ვრი-

გოლს: მასაც გადმოაბრძანებენ მე-IX საუკუნის
მეორე ნახევარში, თუ ერთხელ და სამუდამოდ
დაეთხოვებიან მის დაკავშირებას მოსე ხორე-
მელთან? —

მ. თარხნიშვილი

რომი.

Djabadze's
Library


ქართული ენა იტალიაში

გრაფი ბერნარდო ბარბიელინის გარდაცვალების შემდეგ, ნეაპოლის „ინსტიტუტის“ სათავეში მოექცა აკად. მ. ველი (არაბისტი, † 1945). ის ვერ იჩინდა კავკასიის ერთადერთი შესწავლის მიმართ იმ ინტერესს, რომელიც ახასიათებდა მის წინამორბედს პროფ. ბარბიელინს.

«Gabinetto del Caucaso», დაარსებული 1936 წ. იმავე „ინსტიტუტში“, შეიცავდა ქართულ, იტალურ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ მასალებს კავკასიის ფარგლებში, ოთხასამდე სურათს (მოღვაწეთა, პეიზაჟი, ქალაქები), იშვიათი რუკებს, — ეთნოგრაფიულს და გეოგრაფიულს, — ნუმიზმატიკას, დისკებს ქართულ და სომხურ ენებზე და სხვა. ყველაფერი ეს თითქმის საყვებით დაიღუპა 1942 - 43 წ. ნეაპოლის დაბომბვის დროს მოკავშირეთა მიერ.

ბ. ბარბიელინის უმთავრეს შრომას: «Elementi per uno Studio linguistico e politico del Caucaso (Napoli, 1938, p. 150), თან ახლავს რუკა და სურათები (ტიპები, ბუნება დასხ.), იწება უმთავრესად საქართველოს და მის კულტურულ წარსულს. ამ შრომას თან მოჰყვა ელჩი ჯიაკომო აგოსტინელის შრომა: «Il Caucoso» (Roma, ediz. Toso), დასურათებული, სადაც ის იცავს კავკასიის ერთადერთად ამოუკიდებლობის საკითხს და იწვევს კომუნისტების კრიტიკას.

ექვ. მ. ლეონეტის შრომა: «Document sur la Géorgie» დასაბუთებული იქმნა იმავე «Gabinetto»-ს და ბ. ბარბიელინის მიერ; გამოსცა თვით „ინსტიტუტმა“ „Pompei“-ში და დაურთვა უფასოდ საქართველოს მოყვარულთ იტალიაში. — საქართველოს მეგობარი ვენ. მ. გაბბას წინადადე-



ახალ აფხაზეთის მზიურს ზღვისეულს,
 ძველი შესხეთის ცის დამწვინებას;
 ქართლს — საქართველოს დედას
 ღირსეულს,
 აწმყოს, წარსულის, ზვალის დიდებას.

რომელი ერთს ვუთხრა: — შენ მემეტები.
 ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
 ყველა ტრამალი, მთები, ქედები
 ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.

ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდის
 ჩვენი ზორცია, ჩვენი გულია.
 და ნუ ვაოცებს — თვისკენ გეძახდეს
 იქით კახეთი, აქეთ გურია.

ბით Silvio G o vi (სამხ. პირი) სწერს შრომას: «Transcaucasia», — Storia, Politico, Culturo, და იბეჭდება ფლორენციის „საგეოგრაფიო საზოგადოები“-ს შემწევობით (Firenze e Roma, p.p. 140, opera illustrata). არა-ერთხელ შეიძინა „კავკასიის კაბინეტმა“ ბ. ვერ. რომატიძის რომანი: «Le trecce di Medea», მილანში დაბეჭდილი — ქართულ ხელნაწერთა შორის, რომელნიც ბ. ბარბიელინმა მონახა თვით ნეაპოლში, საყურადღებოა № 8, დაცული ნეაპოლის «Biblioteca Nazionale»-ში; მას აქვს სახელად „გასამართლება რჯულისა ფრანგებისა“, თან ახლავს იტალიური თარგმანი («Giustificazione della Fede Cattolica»); დაწერილია ტფილისში და გორში (1670-75), იტალიელი მისიონერის — ბერნარდო ჩიოფვის მიერ (დაიბადა და გარდაიცვალა ნეაპოლში). შრომა დაწერილია დიოლოგის ფორმით ორ ქართველთა შორის და შეიცავს ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას საზოგადოდ. ამ ხელნაწერს და მის ავტორს ეძღვნა თავის დროზე არა ერთი ლექცია იმავე „აღმოსავლეთის ინსტიტუტში“. „ქართული კულტურის კათედრის“ დაბლების შემდეგ, იკლო ინტერესმაც... „არსაითგან ხმა, არსაით ძახილი!“.

საქართველოს საკითხს ყურადღებით ეპყრობოდნენ იტალიაში: დებუტატები: კოლიტო (ვეჭილი), სპატარო (ეჭიმი), სენატორი ჩიამპიტტი (საზოგ. მოღვაწე) და ეპისკოპოსი ეპიმენიო ჯიანნიკო.

რომის უნივერსიტეტის პროფ. ფრანჩიკო გაბრიელი (არაბისტი) დიდი ყურადღებით იხსენიებს ზმირად რუსთაველს თავის ლექციების დროს; ის ყოფილი დოცენტის ნეაპოლის „ინსტიტუტის“ (1936-40).

ქართული ენისადმი ინტერესი დიდი იყო (1936=40) ნეაპოლში; მას ომბა და მისმა შედეგებმა ბოლო ვერ მოუღეს, მაგრამ ფრთები შეჰკვეცეს საუკეთესო განზრახვებს და ფრიად დაახინეს კავკასიის შესწავლის საკითხი საზოგადოდ.

ქართულ ენას და მის კულტურას ჰყავს არა ერთი მეგობარი იტალიაში და მათი სურვილი კმაყოფილდება დროებისა და შეძლების მიხედვით ნეაპოლში თუ კამპო ბასსოში (პროფ. მოლინეს უმთავრესი ქალაქი, მცხოვრებნი 50.000).

ყველაფერი დაკარგულის აღდგენას (კათედრების და სხ.), იტალიაში თუ სხვაგან ევროპაში, შესძლებს თავის დროზედ მხოლოდ თვით საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი.

იტალია. შ. ბერიძე



მ რ თ ი მ ო ნ ა წ ე რ ი

ამა წლის მასის პირველს 70 წელი შეუსრულდა **ლეოპოლდ ციგლერს**, ჩვენი დროის ერთს უღრმესს მოაზრეს. ეს მნიშვნელოვანი თანრიდი ჯეროვნად იყო აღნიშნული, არა მარტო გერმანიაში.

ციგლერის მთავარი შრომა „გადმოცემა“. შრომას დართული აქვს „მოტტოდ“ დიდი აუგუსტინის სიტყვა: ქრისტიანული მოძღვრება ძველად იყო ცნობილი, ახალი ამ მოძღვრებაში თვითონ ქრისტეს ამ ქვეყნად მოვლენაა. ეს უკანასკნელ-მხვედრი ზღვარგაველება სხვანაირად, ხოლო სწორუბოვნად აქვს შელოინგს გამოთქმული: ქრისტე ისტორიული პიროვნებაა, რომლის ბიოგრაფია მის დაბადებამდე იყო მოხაზული. ციგლერის წიგნი არის სწორეთ ამ „ბიოგრაფიის“ უსრულესი გადმოწმა. ამგვარივე წიგნის მერეჟკოვსკის „საიდუმლო დასავლეთისა“. განსხვავება ესაა: მერეჟკოვსკის წიგნი ზალხნი საუკუნენი კულტურანი ეხმინებთან ერთიმეორეს; ხმა ერთია, ხოლო ნაირნაირი: „დე-ღმერთი“; აქ იჩენს თავს ავტორის გასაოცარი ასსოციაციური ნიჭი. ციგლერის წიგნი სხვანაირია: აქ, ასე ვთქვათ, გეოლოგური ფენებით იშლება თანისთან „დე-ღმერთი“ ერთი თესლეულ ბუდობისაგან; მოშველებულია: რიტუსი; კულტი, მითოსი, მეტაფიზიკა, მოკლედ: ზეპიროვნული თაურცოდნა; აქ იჩენს თავს ავტორის გასაოცარი ნიჭი კაცობრიობის ქვეფენილი ხსოვნის აღდგენისა, პლატონის გავეებით.

ეს მონუმენტალური შრომა 1936 წელს გამოვიდა. აქ ერთი დეტალი. მყისვე დავეწაფე ამ დიდტანიან ნაწარმოებს. წავიკითხე 260 გვერდი. ერთი თუ ორი გვერდი კიდევ და: უეცრად ჩემი სახელი ამოვიკითხე. წაფვა ლელვაში გადავიდა. გავყვევი ქვევით. თქმული კიდევ უფრო უცარი აღმოჩნდა. ავტორი მოკლედ, ხოლო უღრმესად წვდებოდა ძირებს ჩემი შემოქმედებისა. განცვიფრდი: „აღმოჩენილი“ ვიდექ საკუთარი თავის წინაშე, აღმოჩენილი სხვის მიერ. გაცემა სიხარულში გადავიდა და დავუმატებ: გახარება ზრდაში — გვამცნივეს ხომ გენია ქართული სიტყვისა: ყვავილი „ხარობს“, ანუ იზრდება. გავიხარე — ავიზარდე.

ერთი წლის შემდეგ გავიცანი ავტორი. დავუახლოვდი, დამიახლოვდა. მიწერმოწერა, მრავალი შეხვედრა, საუბარი ამა თუ იმ საგანზე, საქართველოს ირგვლივაც, რასაკვირველია — ეს მთელს ტომს მოითხოვს. ვახსენებ მხოლოდ

ერთს წერილს მისას, 2/12 1942 თარიღით. ესეც სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადამეტება არ იქნება, მოვნათლო იგი „ისტორიულად“. ალბათ ოდესმე გამოქვეყნდება: ინახება ჩემს არქივში.

ახლა დავუბრუნდეთ თავში აღნიშნულს. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს მომმართა ციგლერის მდივანმა, ქალმა: ციგლერის ერთგულთ ჰსურთ, მიართვან მას, მისი დაბადების 70 წლის თავზე, კრებული, საცა მისი ღვაწლი იქნება დავასებული, დაახლოვებით 40 ავტორის მიერო. მთხოვდა: კარგი იქნებოდა, თქვენც იყვეთ მონაწილეთო.

რასაკვირველია, აღვუთქვი სიხარულით. შევუდექი ესკიზის შედგენას. მოვათავე კიდევ გადავხედე — ვერ გამოვიდა ისე, როგორც მინდოდა. (ვინც ჩემს დღევანდელ ყოფას იცნობს, ყოფას უაღრესად მძიმეს, იგი გაიგებს ამას.) ამსობაში ცნობა მივიღე: განზრახული კრებულის გამოშვება გამომცემელს არი ძალუქს — რასაც ავტორნი დასწერენ, ამას, ასე ვთქვათ, „შინაურ“ რვეულად შევკრავთ და ამ სახით მივაერთმევთ მოდერესასწაულესო.

ამ ამბავმა მდგომარეობა გამიადვილა. გადავწყვიტე მოკლე-რამ გამეზავნა მილოცვად, ხოლო ისეთი, რომელშიაც იქნებოდა ახმინებული ჩემი სიტყვა: არა მხოლოდ როგორც მწერლისა, არამედ როგორც ქართველისაც. ასეთი აღმოჩნდა შაირი „მცხეთის ტაძარი“, გერმანულად ნათხზი.

მკითხველს მინდა გავახსენო. შეზვალთ მცხეთის ტაძარში, ამჩნევთ კუთხეში, მარჯვნივ, პაწა სალოცავს. ჩვენს მამაპაპათ არი დაუნგრევიათ იგი. რა სინაზეა აქ, რა სისათუთე ნივთიერის მიმართ, რომელშიაც გაუგლისა აღმთანში შობილ ღვთიურ ნაკადს! (ამბობენ, იტალიაშიაც ყოფილა სადღაც ერთი სალოცავი ამგვარად (დაკული.) თუ „ჯვარი ვაზისა“ უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა მთელი საქრისტეანოსი, ეს პაწა სალოცავი მისივე უქვირფასესი ძეგლია.

ვთარგმნო ეს შაირი ქართულად! ავტორი თავისს შაირს ვერ სთარგმნის, იგი თარგმნისას, თუ ნამდვილი მგოსანია, მყისვე ჩაეშვება იმ ენის სიტყვიერ ძირულში, რომელზედაც მას სწადის უკვე ქმნილის „გადატანა“; საქმე ექნება არა „თარგმნასთან“, არამედ „ახლად-ქმნა-

სთან“, ანუ გარდაქმნასთან. თუ ოდესმე კვლავ გავიმართე მხრებში, ვცდი ამას. ეხლა კი შინაგან მოვხაზავ შაირის აღნაგს.

ტაძრის უბეში მოსვენებულია საუკუნეთა მანძილზე პაწა სალოცავი: ვითარ ნაზი აყვანი იმ პირველმოცვისა, რომელიც აღმოხდათ მღვივან გულთ მაცხოვარის მიმართ. ტაძარი უმღერის პატარას, უგალობს ნანინას. სალოცავს ესმის ეს ნათელ-სიზმარეულს. ნელინელ ღვივდება „აკვანში“ შორეთიდან თანისთან მიჭროლივით ის პირველი მოცვა. უეცრად შეიჩხვება სალოცავი, თითქო გამოეღვიძაო: ღვთიური სხივი თუ ასხლტა მასში ყვავილად! ეხლა თვითონ ტაძარის სიზმარეულ აყვანილი: მარადის მოფენით და სუნნელით აფსილი, იგი, უძრავი, მიიზიდვის შალა ცისკენ, მიიზიდვის პაწა სალოცავით, რომელიმისც ის ყვავილი, ეხლა ფრინველად ქცეული, ფრთხილობს.

აგიღე ეს შაირი და გავუზავნე ციგლერს. თანვე მივაწერე: ამ ტაძრიდან, საცა წარმოსახვით ხშირად ვიმყოფებით, მოგესალმებით - მე-თქი.

მივიღე ერთი ცალი „მადლობისა“, ყველა მიმლოცველადმი მიმართულის. ტექსტი დასტამბულია. აღნიშნულია თანვე, რომ მადლობისათვის ძნელია ცალ-ცალკე გადაუხადოს მადლობა იგზომ მრავალ მიმლოცველთ. გარე გვე-

რდზე ქალღმერთისა იყო ნაბეჭდი მსანქანით შინაწერი: „როგორც წინასწარი მადლობა“.

გავიდა თვეზე მეტი. მივიღე წერილი, 4/6 1951 თარიღით. აი რასა მწერს: „ვერა რომელი ჰანგი უნათლესი მოაღწევდა ჩემდამი ამ ამოძრავებულ კვირებში, ძვირფასო გრიგოლ რობაქიძე, ვიდრე ჰანგი თქვენი საგალობელისა ძველი ტაძარის მიმართ თქვენი ქართული სამშობლოსი. და დაუფიწყარად შთამებეჭდა ხატი ქვისაგან ნაშენი სალოცავისა, რომელიც ფრთებზე ლოცვისა მიიზიდვის ზეცისაკენ. — მარადის ხატითა და ჰანგით თქვენთან გადაბმული: ციგლერ.“

გრიგოლ რობაქიძე

შენიშვნა. „ამოძრავებული კვირები“ ნაგულისხმევია კვირები დღესასწაულისა. „ხატი“ ნახმარია თარგმანში ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობით: ხატი - შინაგანი სახე.

გრიგოლ რობაქიძემ კერძოდ ვეცნობა ციგლერის მონაწერი. რადგან ეს მონაწერი ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო მისათვის, არამედ ქართველთათვისაც საერთოდ, ესთხოვეთ მას, გამოეჭყეყებინა იგი ჩვენს ჟურნალში, შესავალის დართვით.

რედაქცია

მიკრა უნიშვა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის

გერმანულმა გამოცემამ (ამერიკულ ზონაში) „Ost-Probleme“ (1951) გამოაქვეყნა თარგმანი ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის წერილისა, რომელიც ამ მეცნიერთა მიერ დაბეჭდილი იყო „კომუნისტში“ და მერმე „პრავდაში“ დეკ. 1945 წელს. მისი სათაურია: „ჩვენნი კანონიერნი მოთხოვნანი ოსმალეთისაგან“. წერილი შეეხება ოსმალეთის მიერ დაჭერილ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საქართველოს ტერიტორიისა.

ჩვენ არ ვიცით, რა მიზნით გამოაქვეყნეს იგი ამერიკელებმა. გვიანტერესებს აქ მხოლოდ ერთი რამ, რიცა დიდი ხნითგან დიდ გაუგებრობას წარმოადგენს: წერილის ავტორებს ხეთელები და სუბარელები, რომლებიც მეორე ათასეულში ქრ. წ. წინა - ახიაში ბატონობდენ, ქართველთა წინაპრებად მიაჩნიათ.

უცხო და ქართველ მეცნიერთაგან ხშირად არის განმეორებული ეს აზრი, ხოლო ჩვენ ვგონებთ, რომ საფუძველი მისი მტკიცე არ არის.

არის ხალხები, რომელთაც სწორედ წინაპართა ენა დაუკარგავსთ და უცხო ენა შეუთვისებიათ და სამშობლო ენად გაუხდიათ განსაზღვრული მიზეზით. ხოლო არის ხალხები, რომელთაც უხსოვარი დროითგან შეუწახავსთ იგივე ენა, რომლითაც წინაპარნი მეტყველებდენ და რომლის ცვალებადობის შესწავლა შეიძლება იმოდენად, რაოდენადაც იგი სჩანს იქრის ძველი და ახალი მწერლობის შედარებითგან.

ასეთ შემთხვევაში ძველი ხალხი ახალი ხალხის „წინაპრად“ ჩაითვლება, რათგანაც ძველი მეტყველებდა იმ ენით, რომლისაგანაც წარმოსცდგა ენა ახლისა.

ხოლო არც ძველი ხეთის ქვეყანაში, არც სუბარეთში, არც უჩარტუს ქვეყანაში და არც სხვაგან ძველი მცირე - ახიაში და ჩრდილოეთი შუამდინარის ქვეყანაში არ აღმოჩენილა ჯერლურსმული (ან სხვა) წარწერები, რომლებიც ტექსტი ქართულად ან რომელსამე ენაზედ ქა-

როსული ჯგუფისა (მეგრული-ჭანურად, სვანუ-
რად) დაწერილი იყოს. „ხეთური“ ენა ინდო-გე-
რმანულია, — ბევრ უცხო ელემენტთა შემცვე-
ლი, მაგრამ მაინც ინდო-გერმანული, არა—ქა-
რთული. „ხურიტების“ ენა (სუბარეელთა მთავა-
რი ენა) ურარტულის მონათესავედ სჩანს, ურა-
რტული კი ქართლის მონათესავედ არ არის. მას
მხოლოდ რაოდენიმე ფრასმატული ფორმა და
სიტყვა მოეპოვება მსგავსი ქართლისა, რაიცა
სწულიად არ ამტკიცებს მის ვენეტიურ ნათე-
საობას ქართულთან. ე. წ. პროტო-ხატტური
ტექსტები მცირეა, მაგრამ ისიც გვაჩვენებს, რომ
ენა არც ქართულია, არც მეგრულ-ჭანური,
არც სვანური და არც „პირველ-ყოფილი ქა-
რთული“ (ე. ი. ენა, რომლის განშტოებისაგან
წარმოდგენ ქართული, მეგრულ-ჭანური, სვა-
ნური, მათი მრავალი კილოებიც).

ერთი ხალხის ტომთა და სხვა ხალხების ტო-
მთა სახელების მსგავსება, თვით იგივეობაც კი,
თუ ხშირად ფრიად მნიშვნელოვანია ამ ხალხე-
ბის ნათესაობის დასამტკიცებლად, ხშირადვე
უდიდესს შეცდომას ჩაადენინებს არა-ფრთხილ
მკვლევარს, რომელიც მარტო სახელოთა მსგავსე-
ბას და იგივეობასაც მეტ მნიშვნელობას მის-
ცემს, ვიდრე მას ეკუთვნის, და სხვა საბუთებ-
ზედ არ დაამყარებს ხალხთა ნათესაობას, რო-
მელ საბუთთა შორის ერთი მნიშვნელოვანი ეს
მსგავსება და იგივეობაც იქნება.

სულ სხვაა გარდაცემა ერთი ხალხისაგან, ეო-
თი ერისაგან შეორისათვის სიტყვათა, ნივთიე-
რი კულტურის ელემენტთა, სარწმუნოებრივ
წარმოდგენათა, ღვთაებთა და სხვ. რასიული
ელემენტებიც შეიძლება საერთო ჰქონდეს სრუ-
ლიად „უნათესავო“ ერთ, — ერთი ხალხიდან
მეორეს წილში, ან ორივეში შესრული, ორივე-
სათვის უცხო ხალხიდან. — მაგ. ბერძენთა ერ-
ში მრავალი იყო არა-ბერძნული, არა-ჩრდი-
ლოეთური, მცირე-აზიისა და ხმელთა-შუა-
ზღვის ხალხთაგან შესრული (რასიული ელემენ-
ტები; ბერძნულ ენაში მრავალი არა ინდო-გე-
რმანული რამ არის, ბერძნულ სარწმუნოებაში
მრავალი სარწმუნოებრივი წარმოდგენა, ღვთაე-
ბანი მცირე აზიის ხალხთა; ერთობ კულტურუ-
ლი გავლენა მცირე აზიისა და ხმელთა-შუა-
ზღვის ხალხთა დიდი იყო საბერძნეთზედ, მაგ-
რამ განა რომელიმე ხალხს, ბერძნებზედ ასეთი
გავლენის მქონეს, ელიონთა „წინაპრად“ გამო-
ვაცხადებთ? — მსგავსადვე, ხეთელები, სუბარე-
ლები, ურარტელები და სხვანი არ არიან ქარ-
თელთა წინაპრნი, მიუხედავად იმისა, რომ ქა-

რთველთა შორის დღესაც ვხედავთ სხვა ტიპ-
თა გარდა ძველ ხეთურ ტიპსაც (წინა-აზი-
ურს); ბევრი სარწმუნოებრივი წარმოდგენა ქა-
რთველ წარმართთა ძველი ხეთური იყო, აგრე-
თვე უცხო ღვთაებანი იყვნენ შემოსრულნი სა-
ქართველოში, როგორც მაგ. „პროტო-ხატტური“
ტელეფინუ (შეად. სვან. ტელეფია—მელია) და
და სხვ. და უძველესი სიტყვებიც არის ქართუ-
ლოში შემოსრული უძველეს უცხო მეზობელ
ხალხთა ენებიდან, აუხსნელი ქართული ენათ-
მეცნიერების ნიადაგზედ, რომლის ვინაობას
მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როდესაც მათ სად-
ღაც ჯერ აღმოუჩენელ ან წაუკითხავ ძველ ტე-
ქსტებში ვიხილავთ. უფრო რთულია პროცესის
ნივთიერი კულტურის შეთვისებისა ხალხთა მი-
ერი ურთი-ერთისაგან. და აქ ჰმართებს მეცნი-
ერს დიდი სიფრთხილე, — აღნიშნოს და გაი-
გოს მოვლენანი ისე, რომ შემცდარი დასკვნები
არ გამოიღოს ხალხთა „ნათესაობისა“ ან ერთის
„წინაპრობისა“ შეორისათვის და სხვ..

ჩვენ ხშირად გვითქვამს და ახლა კვლავ ვი-
მეორებთ, რომ ერთად-ერთი ენა, რომლის გე-
ნეტიური ნათესაობა ქართულთან სჩანს, არის
სუმერული. მაგრამ ეს ნათესაობაც შორეულია,
— არა ისეთი, რომ სუმერული ქართულ ენათა
ჯგუფს (ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურ-
სუმერულს) ეკუთვნოდეს, ან ქართულ ენათა
ჯგუფი სუმერულის განშტოების შედეგი იყოს.
ამიტომ აბსურდი იქნებოდა იმისი თქმა, რომ
„სუმერნი ქართველთა წინაპრნი იყვნენ“. სუ-
მერულია და ქართლის ნათესაობა და აგრე-
თვე საქართველოში ახლად აღმოჩენილი საგნე-
ბი მეორე ათას ქრ. წ. (მაგ. თრიალეთში, იხ.
შ. ამირანაშვილის ისტ. ქართ. ხელოვნებისა
[რუს.], გვ. 31,34), და სხვა მოსაზრებანიც,
გვეუბნებიან მხოლოდ, რომ ყოფილა ერთი უძ-
ველესი ჯგუფი ხალხთა კავკასიაში და მისი სა-
მხრეთით მდებარე ადგილებში მოსახლე, რო-
მელთა ენები ურთი-ერთის მონათესავე იყო.
ერთი ამ ხალხთაგანი, სუმერის ხალხი, სამხრე-
თისაკენ წამოსრულა, სამხრეთ მესოპოტამიაში
დასახლებულა და იქ შექმნია უძველესი დი-
დებული კულტურა. სხვა ძველ ხალხთა ბედი
ამ ჯგუფისა ჯერ არ ვიცით. ხოლო ქართველე-
ბი, ამავე ჯგუფის ხალხი, ჟამთა ვითარებაში
მეზობელთა ყოველნაირი გავლენის გამცდელნი,
ღვთაც ვარსებობთ, მქონენი „ეროვნული“ ის-
ტორიისა და შემქმნელი „ეროვნული“ კულტუ-
რისა.

და ჩვენი ძიებების ნახვა, ჩვენ „წინაპართა“



მოგონებანი რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ისტორიისათვის

I

ერთა კავშირის კომგრესის ლოზანაში

პირველი დიდი ომის დროს, 1916 წელს, ქალ. ლოზანაში (შვეიცარია) მოწვეულ იქმნა მესამე კონგრესის ერთა კავშირისა («L'Union des nationalités»). კონგრესის მომწვევი იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი, რომელსაც მუდმივი ადგილი ჰქონდა პარიზში.

ცხადია, რომ ეს საქმე განგებ იყო მოწყობილი ანტანტის მიერ ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ დემონსტრაციისათვის, გამოაშკარავდებოდა რა მათ მიერ ჩაგროულ ერთა მძიმე მდგომარეობა და ემცნებოდნენ რა მსოფლიოს მათი მოთხოვნებიანი.

ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთათვის ეს მიზანი ანტანტისა, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა და იქ მომსწავლე წარმომადგენლებმა ანტანტის მიერ დაჩაგრულ ერთა ისარგებლეს ამით და განაცხადეს სურვილი კონგრესსზე დასწრებისა.

მრავალ ერთა წარმომადგენლები: ინდოელთა, ეგვიპტელთა, ირლანდელთა, ფინლანდელთა, პოლონელთა, უკრაინელთა, ქართველთა და სხვათა მრავალთა გაეშურენ ლოზანისაკენ და წარადგენ თავიანთ ერთაგან მიღებული მანდატებით კონგრესის ორგანიზატორთა წინაშე და მოითხოვეს კატეგორიულად უფლება კონგრესსზე დასწრებისა და თავიანთ ეროვნულ მოთხოვნებიანთა წარადგენისა. კონგრესის ორგანიზატორები იძულებულნი იყვნენ ეს უფლება მათთვის მიენიჭებინათ.

დაიწყო კონგრესის და ანტანტის მიერ განძრახული დემონსტრაცია ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გადაიქცა უზარმაზარ დემონსტრაციად თვით ანტანტის დაჩაგრულ ერთა, განსაკუთრებით ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ.

წარმოსთქვეს სიტყვები წარმომადგენლებმა: ინდოეთისა, ირლანდიისა, ფინლანდიისა, პოლონეთისა, საქართველოსი და სხვა ერთა, — სიტყვები რომლებიც წარმოადგენდნენ უდიდეს საზღვარს.

აღმოჩენა შესაძლებელია და მოსალოდნელი სუბერთა წარმოშობის საკითხის საბოლოოდ გამოკვლევასთან და გარდაწყვეტასთან დაკავშირებითაც.

პარიზი. 1951 წ.

მიხ. წერეთელი

რალდებულო აქტებს, სადაც ხილებულ იყვნენ რუსეთისა და ინგლისის იმპერიები მათ ერთადამლებულ და ერთა მომსპობ პოლიტიკაში. ამ სიტყვებმა ისეთი ღრმა და საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ კონგრესსზე, რომ მოწინააღმდეგეთა ხმა მხოლოდ სუსტ კნავილს დაემგავდა, მით უმეტეს, რომ რიცხვი რუსეთისა და ინგლისის მიერ დაჩაგრულ ერთა განუსაზღვრელად სჭარბობდა.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოს წარმომადგენლის მიხეილ წერეთლის სიტყვამ, რომელმაც აღნიშნა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულებანი ვახტანგ VI-დან დაწყებული უკანასკნელ დღემდე რუსეთის ბატონობისა საქართველოში. საქართველოს მრავალჯერ განადგურება თურქთა და სპარსთა მიერ რუსეთის პროვოკაციით და მოტყუებით; ერეკლე მეფისა და ეკატერინე II 1788 წ. შეკრული ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ, აქაც მოტყუება და მით გამოწვეული განადგურება საქართველოსი აღამაჰმად-ხანის მიერ და შემდეგ სრული მოსპობა საქართველოს სახელმწიფოსი, მისი დინასტიისა, ეკლესიისა და ყველა ეროვნულ დაწესებულებათა; ქართველთა აჯანყებანი და სისხლში ჩახრჩობა ამ აჯანყებათა გამხეცვლელი რუსის ჯარების მიერ და ბოლოს გარუსების პოლიტიკა და დევნა ქართული ეროვნებისა მთელი 116 წლის განმავლობაში და სხვა. მოხსენება დასაბუთებული იყო ძლიერად და თვით რუსული წყაროების მიხედვით, რამაც არა თუ კონგრესსზე დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუს დამსწრეთ ენა ჩაუვლი: რუსის პრესაში ეს ამბავი გამოაქვეყნა ერთმა დამსწრემ, რომელმაც ვერაფრის თქმა არსებითად მიხეილ წერეთლის მოხსენების წინააღმდეგ ვერ მოახერხა, — მხოლოდ ამბობდა: ლოზანის კონგრესსზე, ქართველმა მ. წერეთელმა რუსეთი და ყოველი რუსული ისე უდიერად მოიხსენია, რომ ჩემმა რუსულმა ყურმა ვერ აიტანა ამისი მოსმენა და კრება დაესტოვეო...

ამ რუსის არც შემოსულა და არც გასვლა კონგრესსზე არავის შეუძინებია.

მიხეილ წერეთლის ეს მოხსენება დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ბერლინში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ. **კ. ლარელი**

დაჩაგვულ ერთა დემონსტრაცია გერმანიაში

ამა წლის 3 ივნისს ქალაქ მიუნხენში, გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანათა მოქალაქეებისა. ეს იყო საპროტესტო გამოსვლა, მიმართული საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური რეჟიმისა და დასავლეთის თავისუფალ სახელმწიფოთა მიერ დაჩაგვულ ერთა მიმართ წარმოებულ გულგრილი პოლიტიკის წინააღმდეგ.

A.B.N. - ის გაერთიანებაში შედიან ეროვნული ორგანიზაციები: კარელ-ფინელების, ესტონელების, ლატვიელების, ლიტოველების, ბელორუსების, სლოვაკების, ჩეხების, უნგრელების, ხორვატების, ალბანელების, სლოვენების, ბულგარელების, რუმინელების, უკრაინელების, ყაზახების, ქართველების, ჩრდილოკავკასიელების, სომხების, აზერბაიჯანელების, თურქესთანელების, კალმუხების და ყირიმის თათრების.

დიდი დარბაზი დასწრეთ ვერ იტევდა. იგი მოართული იყო ყველა ერების დროშებით. კედლებზე — პლაკატები წარწერებით, მოწოდებებით დასავლეთ დემოკრატიის მიმართ კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მოთხოვნით, იქონ დაჩაგვულ ერთა ეროვნული უფლებები.

დასწრეთა შორის მრავალი უცხო სტუმრები, აქრეთვე ოფიციალური პირებიც. აქვეა 46 პრესისის წარმომადგენელი, მათ შორის: **Associated Press, United Press, Reuter, Agentur Deutsche Press**, ბავარიის რადიოს და სხვა რადიო-სადგურთა რეპორტერები, კინო-ჟურნალისტების ოპერატორები: «Fox» და «Welt im Film», პრესის ფოტოგრაფები.

პრეზიდენტის მაგიდის გარშემო სხედან 23 ერთა დელეგაციების წარმომადგენელი. მაგიდაზე, ყოველი ერის წარმომადგენლის წინ დგას ეროვნული დროშა.

შუაში თავმჯდომარის სავარძლის წინ, ჩვენი სამფრევანი დროშა. ყრილობის თავმჯდომარეა ქართველთა დელეგატი და შურნალ „ბედი ქართლისა“ თანამშრომელი და წარმომადგენელი გერმანიაში ნიკო ნაკაშიძე.

თავმჯდომარე ხსნის რა კრებას, ესალმება სტუმრებს და პრესის წარმომადგენელთ; შემდეგ მიმართავს დაჩაგვულ ერთა შვილთ:

— „ბედით შეგობარსო და თანამებრძოლო!

ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, თუ ვინ ვართ და ვართ თუ არა ჩვენ აღჭურვილი უფლებით ვილაპარაკოთ ჩვენი ხალხის სახელით. ჩვენ ვართ ისინი, ვინც იბრძოდა პირველ რიგებში თავის ერის თავისუფლებისათვის საბჭოთა დამპყრობელთა წინააღმდეგ. ჩვენ ჩვენი ხალხების წილით ვართ გამოსულები, მისი მკვიდრი შვილი და ვიცით ჩვენი ხალხის სულიცკეთება, განცდები, სურვილები და მიზნები. ჩვენ მუდმივ უსმენთ მისი გულის და მსჯის ცემას. ჩვენ ვართ ჩვენი ხალხის თარჯიმნები და მისთვის მოლაპარაკებელი თავისუფალ, განათლებულ ქვეყნების შინაშე! ჩვენ შეგვიკრიბენით აქ, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე ვალია ერთ ჩვენ ხალხთა ეროვნული ნებისყოფა და განათლებულ კაცობრიობას მოვსთხოვოთ ჩვენი ეროვნული უფლებების ცნობა. — უკვე პირველი სიტყვები ჩვენი თანამემამულისა იწვევენ აღტაცებას და ტაში გადადის ოვაციაში.

შემდეგ მიმართავს იგი პრესის წარმომადგენელთ და ამბობს: — „თუ ის მართალია, რომ დემოკრატიული პრესის მთავარი დანიშნულება ადამიანთა და ერთა უფლების და თავისუფლების დაცვა არის, მაშ რად აქვს ასე მცირე ადგილი დათმობილი თავისუფალ ქვეყნების პრესაში ჩვენ ხალხთა ბედს?! ამასვე კეთილშობილი რა იქნებოდა, მეტი ყურადღება მიაქციოთ იმ უბედურ ხალხებს, რომელთაც არა თუ ეროვნული უფლებები აქვთ წართმეული, არამედ ელემენტარული ადამიანური უფლებაც კი ართმეული“ — (მზურვალე ტაში თვით პრესის რიგებში). შემდეგ მომხსენებელი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ პრინციპი თავისუფლებისა ვრცელდება მხოლოდ საერთაშორისო მესვეურთა მიერ დადგენილ გეოგრაფიულ საზღვრებში, და ეს მესვეურნი რომ იყვნენ დარწმუნებული, რომ საბჭოების მხრივ არავითარ საფრთხე არ მოელოთ, მაშინ დაკმაყოფილებოდნენ დღევანდელი მდგომარეობით და განწირულ ერთა ბედით თავს არ შეიწყუბებდნენ. „ — მაშ სადღაა განუყოფელობა მშვიდობიანობისა და თავისუფლებისა, როდესაც მილიონები საშინელ ტირანის ქვეშ ვმინავენ და ათასობით იელიტება უდანაშაულო ადამიანები“, უსაყვედურებს მათ ბ. ნიკო ნაკაშიძე.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს უკრაინელების წარმომადგენელი ბ. ისაროსლავ სტეცკო. ილაპარაკებს აგრეთვე ყველა ერების წარმომადგენ-

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა

ჩრეული შაირების კრებული გიორგი ყიფიანისა

გამოვიდა ჩვენი თანამშრომელის, გიორგი ყიფიანის შაირების კრებული გრიგოლ რობაქიძის წინასიტყვაობით.

ის ფაქტი, რომ გრიგოლ რობაქიძემ ამ წიგნს წინასიტყვაობა უძღვნა, ადასტურებს ჩვენი პოეტის ნიჭს და მისი შემოქმედების მალალ დონეს.

„თითქმის ყოველი შაირი გიორგი ყიფიანისა ამოპრავებულია ტკივილით სამშობლოს მოწყვეტილისა, სწერს გრიგოლ რობაქიძე. ავტორი დაშორებია მშობელ მიწას ყმაწვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის ტკივილს და თანაც: კიდევ უფრო აღრმავებს მის სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის შაირებს და გგონია: თითქოს იგი „აქედან“ წვდებოდეს მშობელ წიასს „იქ“, რომ შეავსოს გემება მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და მამულისა. წვდება კიდევ: ნატვრით წარმოსახული მას ზორცხსმულ სინამდვილედ ევლინება. ასეთია მქმედი ძალა სიყვარულის, საკუთრივ ღრმა ტკივილით აღვივებულის.

ველი თუ მდელი, წმინდა გადმოცემა თუ ისტორიული პიროვნება, ზრმალი თუ ჯვარი—ყოველი ეს ქალწულური სიყვარულით არის ნაგზნები ავტორის მიერ და ჩველი ცულის ფეთქით

აცხოველებული. მაგალითისათვის შაირი „დედის დარიგება“.

ერთი ტკივილი სუნთქავს კიდევ მის შაირებში: ტკივილი მალეული, რადგან ინტიმური. ეს ტკივილიც იმგვარადღევა შერხეული, როგორც პირველი, თუნცა მეტი სინაზით. ვასაგებია, თუ რად. ორ ტკივილთა ერთი — მეთორეში ჩაქსოვის წარმოუშვია ნამდვილი ღირიული შედეგის „გივი ყიფიანი“: ანდერძი მამისა შევილისადმი.

მოგვყავს ეს მართლაც შესანიშნავი ლექსი:

გივი ყიფიანს

გივი იფ სიტყვა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხეული,
ქართული ძუძუ არ გიწოვია,
მაინც შეილი ხარ ჩემი სხეულის.

თუ ჩემ სიცოცხლეს დარდზე ანაგებს,
ელის სამარე უცხო მხარეში,
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს,
ბედის იდუმალ სიმწუხარეში.

შენ მამა მყავდა გზა დაკარგული,
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა ქვეყნად,
შემოაღამდა უცხო მხარეში,
როგორც ფოთილი წაიღო სეტყვამ.

ლებმა, რომლებმაც ერთსულოვნად აღნიშნეს დაჩაგრულ ერთა საქრთო ბრძოლის აუცილებლობა.

მაგრამ ყურადღების ცენტრი ჩვენი თანამემამულე ნიკო ნაკაშიძე იყო, რომლის მოხდენილება და შინაარსიანმა გამოხვლამ და ორატორულმა ნიჭმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთა შორის.

ყოილობის ბოლოს, თავმჯდომარემ ნიკო ნაკაშიძემ მიმართა კრებას „შემდეგი სიტყვებით: „ვინ იცის ხეაღ და ზეც საით გადავისროლებთ ბედი, მაგრამ თუ კი ვაისმა ძახილი ჩვენი მშობელი ქვეყნების, ხომ მზად ხართ იმ წამსვე მოხვიდეთ და შეასრულოთ თქვენი მოვალეობა!“ — „ღიას, ღიას,“ — გაიძახის ათასი ხმა. და როდესაც თავმჯდომარემ განაცხადა: — „თავგანისცემით ვიხრით თავს ჩვენი გმირული ერების ურიცხვ მსხვერპლთა წინაშე; ჩვენი უგულითადესი სალაში უძღვნათ ჩვენ მებრძოლ მშობელ ქვეყნებს, და ჩვენ დაჩაგრულ, მაგრამ ვერ და-

მორჩილებული ერებს! ჩვენ ვფიცავთ ყველაფერი ვქნათ, რომ საქრთო მიზანი სინამდვილეთ ვაქციოთ: აღვადგინოთ თავისუფლება ჩვენ ხელხთა და დამოუკიდებლობა ჩვენ სახელმწიფოთა,“ — დამსწრე საზოგადოება სპონტანურათ დგება ფეხზე, გრიხლებს „ვაშა“ დარბაზში, განუწყვეტელი ოვაციები და ძახილი „დიდება ჩვენ სამშობლოს“.

იმ საღამოსვე რადიო-სადგურები გადმოცემდნენ ცნობებს ამ დიდი დემონსტრაციის შესახებ. მეორე დღეს, დილის გაზეთებში მოთაგებული იყო ვრცელი ცნობები დიდი წარწერებით. „დემონსტრაცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“, „დაჩაგრული ერები მოითხოვენ დასავლეთისაგან აღიარებას მათი უფლებების“ და სხვა. 3 ივნისის გამოსვლამ, უცხოეთის პრესაშიც კი ვაფართო გამოხმაურება. შვეიცარიის, ამერიკის, ინგლისის, შვეციის და სხვა გაზეთებში ვრცელი ცნობები იყო მოთავსებული.

მიუნხენი.

აბენიძე

უსიხარულოდ ის გაარდიცვალა,
დედის წერილი ჩაყვა უბეში,
უცხო ბინაში დიდხანს იცადა,
მისთვის სამშობლო იყო ნუგეში.

ქართველი დარჩა მისი სახელი,
და ყიფიანი გარქვა შენ გვარად,
ბევრი ვაეხის იყო მსახველი,
ამიტომ არეინ არ შეიყვარა.

.....
.....
შვილო ეგ თხოვნა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხეული,
ქართული ძუძუ არ გიწოვიც,
მაინც სისხლი ხარ ჩემი სხეულის.

„ქალწულური სიწრფელე გზობისა და ნაგ-
ზნების ჩვილი გულის ფეთქით აცხოველება“ —
ამ სახასიათო ფიორგი ყიფიანისა, როგორც ლი-
რიკოსის, განაგრძობს ფრიგოლ სობაქიძე. აქე-
დან: ნაჩნარი მოქროლვით განფენა აღქმე-
ულის...

„ავტორს უფრო ემარჯვება ის, რასაც ფრანგნი
„l'image Visuelle“-ს უწოდებენ, სამეცალოთოა
ამ მხრით შაირი „ხამთარი“. მარტოდ მარტო ეს
სახე რად ღირს: „მხრებ - თეთრა არწივი, კლდე-

ების ნაწილი!“ „ხამთარი“. „გივი ყიფიანთან“
ერთად, სანიმუზოდ შევა ოდესმე ქართული პო-
ეზიის ანტოლოგიაში“.

ხედმეტი იქნება ფრიგოლ სობაქიძის შემდეგ,
ჩვენ განვაგრძოთ განხილვა ფიორგი ყიფიანის
შაირებისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი ახალ-
გაზრდა თანამემამულე საკმაოდ დაჯილდოვებუ-
ლია ღვთიური ნაპერწკალით და უეჭველად ეკუ-
თვნის ნამდვილ პოეტთა რიცხვს. მისი გამარჯვება
მეტად სასიამოვნოა ჩვენთვის, რათავან თავიდან-
ვე მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მის
ნიქს.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ემიგრანტულ იდუ-
ხჭირ პირობების გამო ის მოკლებულია საშუა-
ლებას უფრო ფართოდ გაშალოს თვისი შემოქ-
მედება.

ნინო სალია

„Enciclopedia Catolica“ - ში მოთავსებულია
ჩვენი თანამემამულის მამა მიხეილ თარხნიშვი-
ლის წერილი საქართველოს შესახებ: ისტორია,
ეკლესიის ისტორია, ზელოვნება, ლიტერატურა
და სხვა.

მამა მიხ. თარხნიშვილს გამოყენებული აქვს
ყველა ძველი და ახალი მასალები, რაც საქართ-
ველოს ისტორიის და მის კულტურას შეეხება.

წერილი რედაქციის მიმართ

Jobadze's
Library

პატივცემულო ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს ორგანოში
შემდეგ განცხადებას.

ქართულმა კოლონიამ გერმანიაში თავის სა-
ერთო ქრებაზე 18 აგვისტოს 1951 წ. მიუნხენში
მიიღო ერთხმად შემდეგი დადგენილება:

— „ქართულმა საზოგადოებამ გერმანიაში თა-
ვის მოვალეობად ჩასთვალა ქართველობის ღირ-
სების დასაცავად გამოსთქვას თავისი აზრი იმ
წერილების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული
იყო ბუნენოს-აირეში გამოცემულ ჟურნალ „მა-
მულის“ მეორე ნომერში „პ. პარიზელის“ და
„კახა - ბერის“ ფსევდონიმებით.

ამ წერილებში ფსევდონიმებს ლაჩრულად ამო-
ფარებულ ავტორების მიერ გავრცელებული
პროვოკატორული ქორები იწვევენ საზოგადოე-
ბის აღშფოთებას.

მთელი პასუხისმგებლობა ამ უღირსი საქციე-
ლისათვის აწევბა ჟურნალის რედაქციას და მის
გამომცემელთ.

ასეთი მოქმედებით მათ არა თუ დაარღვიეს და
უარყვეს ელემენტარული მოთხოვნილებანი პრე-
სისის ეთიკისა, არამედ შელახეს და შეურაცყვეს
ქართული საზოგადოებრივი თავმოყვარეობა და
ღირსება.

ქართული კოლონია გერმანიაში გმობს სასტი-
კად ასეთს ზნეობრივად დაუშვებელ მეთოდებს
რაც ქვენა ანგარიშების გასწორებისა და მოუ-
წოდებს მთელ ქართველობას უცხოეთში დაგ-
მოს ეს ქართველობისთვის დამამცირებელი საქ-
ციელი.

ეს დადგენილება გავგზავნოს ქართულ პრეს-
სის ყველა გამომცემთ გამოსაქვეყნებლად“.

გერმანიაში ქართული კოლონიის
თავმჯდომარე ა. კორძია



ქრონიკა

26 მაისი პარიზში

ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ ბ. შალ. აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული ზეიმით გადაიხადა 26 მაისის დღესასწაული. პროგრამა შეტად შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო.

26 მაისი ამერიკაში

დამოუკიდებლობის დღე გადახდილ იქმნა ქ. ნიუ-იორკში ქართველ-ამერიკელთა ლიგისა და ქართული სათვისტომოს გამგეობის მიერ. დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლევან დუმბაძემ. ზეიმს ხელმძღვანელობდა ბ. შინ. დადიანი. ილაპარაკეს ბ. ზურაბ ჩხატუამ და „ქ.-ა. ლიგის“ თავმჯდომარემ ბ. თეიმურაზ ბაგრატიონმა.

პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე პარიზში

პროფესორმა ალ. ნიკურაძემ პარიზის ქართველთა სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპიული წარსულიდან“. მოხსენება იყო იშვიათი შინაარსისა. შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ იგი მორიგ ნომერში.

ქართული წარმოდგენა

პარიზში, სინემა „რენელაგის“ დარბაზში, ქ. ვ. კედიას ხელმძღვანელობით დაიდგა ქართული კომედია ი. ზარდალიშვილისა: „ხახიას ღელე“, რომელიც შესრულებულ იქმნა საფრანგეთში დაბადებულ ქართველ ახალგაზრდათა მიერ. მონაწილეობდენ: რუსუდან სტურუა და ზურაბ კედია. მამის როლს ასრულებდა ბ. ვ. ველიძე.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მდგომარეობა

სტამბოლიდან გვატყობინებენ, რომ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი მძიმე მდგომარეობაშია, რათეანაც ამ დიდო დაწესებულების მოვლა და პატრონობა იქ დარჩენილ ხანში შესულ მოღვაწეთა მიერ გაძველებულია. საჭირო არის შეცვლა მონასტრის კრებულისა ახალი ძალებით. მონასტერი მოუწოდებს ქართველთ, რომ ასეთი

ძალები, რომელსაც შეუძლია და სურვილი აქვს მონასტერში მოღვაწეობისა, მიამგებონ ამ ერთად - ერთ უცხოეთში დარჩენილ კულტურულ დაწესებულებას, რომ მოუვლელობისა და უპატრონობის გამო იგი საბოლოოდ არ დარჩეს უცხო, რომელი ბედიც არაერთხელ სწევია ჩვენს მსგავს ეროვნულ დაწესებულებებს უცხოეთში.

ცნობებისათვის შეუძლიათ მისმართონ „ბედი ქართლისა“ რედაქციას.

სამგლოვნიარო

მწუხარებით ვაუწყებთ თანამემამულეთ, რომ 9 სექტემბერს, პარიზში გარდაიცვალა ჩვენი უზრუნველნი თანამშრომელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ურული, დასაფლავებულ იქმნა ლევილში. სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. კოწია კანდელაკმა, სათვისტომოს თავმჯდომარემ შალვა აბდუშელიშვილმა და მიხეილ ჩუბინიძემ. ნეკროლოგი მოთავსდება შემდეგ ნომერში.

„ბედი ქართლის“ რედაქცია თანაგრძობას უცხადებს ბ. ა. ჯაფარიძეს მისი მეუღლის გარდაცვალების გამო.

„ბედი ქართლისა“ მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ პარიზში გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე მელიტონ რუსია.

მწუხარებას გამოვსთქვამთ დიმიტრი ჭიაბრივილის გარდაცვალების გამო. —

„ბედი ქართლისა“

კრებულის ფონდი

შემოსწირეს: ბ. მერაბ კვიციანილმა 50 დოლ., ზურაბ ჩხატუამ — 25 დოლ., მოსე შანიძემ — 5 დოლ., მიხეილ ჩუბინიძემ — 3.000 ფრ., მელიტონ ჟღენტმა — 3.000 ფრ., პროფესორმა ალექსანდრე ნიკურაძემ — 2.700 ფრ., ი. ი. — 2.500 ფრ., კომ. ი. ვანაძემ — 1.500 ფრ., მეგობარმა — 1.000 ფრ., ბელგიიდან — 650 ფრ., მონპელიედან — 500 ფრ., შალვა გიორგაძემ — 500 ფრ., ელიზბარ ერისთავმა — 500 ფრ., და აკაკი გამსახურდიამ — 500 ფრ.

სულ — 48.350 ფრ.

გმადლობთ! დამენხარეთ!

„ბედი ქართლისა“